345/2
1899

№ IV

1899 აპრილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

ჟურნალ „ჯეჯილისა“

I პირველი გაზაფხული ლექსი—ზეზვასი 3
II მართალი კაცი (ისტორიული ამბავი) — ვ. ბარნოვისა . . . 4
III ძველი თქმულება ალდგომის კვერცხებზე (ფრანგულიდან) — ვ. ანასტ. ამილასკრისა 10
IV „ჩემი კერძი“ ამბავი—ალ. ბარნოვისა 13
V გაზაფხული ლექსი—მ. ლელაშვილისა 19
VI ნელლო და პატრაში მოთ. უიდისა (დასასრული) თარგ. —ელ. წერეთლისა 20
VII ჰურის მარცვლები — ლეონარსაბ ტიციშკელისა 33
VIII ახალი თეზეოსი (შემდეგი) — ეკ. მ - სა 41
IX დედამიწა — ვ. გომართელისა 46
X ძველი საბერძნეთი (შემდეგი) თარგმანი — კოტესი 52
XI პატარა სამზარეულო—ბეს. ვაშაძისა 59
XII ორი მეცხვარე — ალ. მ — შვილისა 59
XIII ვირის ყროყინი—ბეს. ვაშაძისა 60
XIV წერილმანი: ანდაზები, გამოცანები, უჯრების ამოცანა, შარადა, რებუსი და სხვა 61

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყმაწვილო ნახატებიანი

ყურნალი

102

იზარდე, მწვანე ჯეჯილო.
დაპურდი, გახდი ყანაო!..
ი. დ.

№ IV

წელიწადი მეათე

ტფილისი

სტამბა ტ. მ. როტინიანცისა || Тип. Т. М. Ротиніанца. Гол. пр., д. № 41.

1899.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Дозволено цензурою Тифлисъ, 30-го Апрѣля 1899 года.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი გაზაფხული.



ვამ გვალირსა წვიმის ცვარი,
გაიწმინდა აწ-კი ჰავა;
აგერ იამ ბუჩქის ძირი
როგორ გააკოპწიავა!

სულ ყვავილათ გარდაიქცა
ჭალები და ბალი-ბალჩა;
ტყე შებზინდა საამურათ,
ველს გადეკრა მწვანე ფარჩა.

მთა და ბარმა გაილვიძა,
ისმის სიმღერა და სტვენა...
სულმა იგრძნო ნეტარება,
ცოტათ გულმაც დაისვენა!

ზეზვა.

19891

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართალი კაცი.

(ისტორიული ამბავი).

რჩილ კახთბატონის დროს ცხოვრებდა მეფის კარს გამოჩენილი ვინმე ზაზა. ეს კაცი შაჰნაზის კარს იყო გაზდილი და იმისგან დიდათ მიჩნეული. ახლა კი არჩილს ახლდა. ბატონს უყვარდა ზაზა და ძლიერ ენდობოდა, რადგან მხნე ვაჟკაცი იყო, გამჭრიახი და მეფისთვის თავდადებული. მხოლოთ ძალიან ამაყი და პირ-და-პირი კაცი იყო, არავის ეფერებოდა, არავის არაფერს უთმობდა, არც მეფეს. ყველა პატივისცემით ეპყრობოდა ამ კაცს.

ერთხელ ბატონ არჩილს ეწვიენ ლევან დადიანის კაცები. წიგნი მოართვეს, ძღვენი უძღვნეს. არჩილი იმერეთში რომ იყო მეფეთ, მაშინ გაეცნო ეს კაცები. მეჯლიში გადაუხადა სტუმრებს, მოუმხიარულა. მეჯლიშშიაც თავი იჩინა ზაზამ.

მეფემ სტუმრები გვერდზე მოისვა, ძალიან თავაზიანათ ექცეოდა. როცა შეზარხოშდენ, ეს ალერსი თავის დამცირებამდის მიიყვანა, სუფრაზე მსხდომ კახელ გმირებს და თავკაცებს კი მეტათ ამაყათ ეპყრობოდა, თითქმის განზრახ ამცირებდა. ბატონის ასეთი ქცევა საჩოთირო და საწყენი იყო ყველასთვის. ასე იმისთვის ეფერებოდა არჩილი თავის სტუმრებს, რომ უნდოდა იმერეთის სამეფო ტახტი ისევ მიეთვისებინა; ლევან დადიანიც ამ დესპანების პირით იწვევდა მეფეს უსინათლო ბაგრატის წინააღმდეგ და შველას ჰპირდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილი კახეთის მეფე იყო, ქართლის მემკვიდრეთაც თელიდა თავის თავს და იმერეთისკენაც იწვდიდა ხელს: ოცნებით შეერთებულ საქართველოს ხელმწიფეთ რაცხდა თავს.

ზაზამ შენიშნა შეუსაბამო ქცევა შექეიფიანებული ბატონისა და ეწყინა. იმიტომ უფრო აირია, რომ იცოდა არჩილის ოცნებას სასურველი შედეგი ვერ მოჰყვებოდა და იქნება სხვა ტახტის მძებნელ მეფეს კახთბატონობაც გამოცლოდა ხელიდან. ველარ მოითმინა და თქვა იგავი:

— ენახე კაცი, რომელიც ჭალაში ფიჩხსა ჭრიდა; შეჰკრა კონა, აიკიდა და ემძიმა; დააგდო, შეჰკრა მეორე, დაადვა პირველს, შეუჯდა ასაკიდებლათ და ძლივს დასძრა; წამოდგა, შეჰკრა მესამე კონა, დაადო ტვირთს, მოუჭირა სამივეს საბელი, მაგრამ ახლა სულ ვერ დასძრა ტვირთი. გამეცინა. ვუთხარი, ერთი კონაც აგრე მძიმეა შენთვის და სამის აწევას როგორ შესძლებ მეთქი.

სტუმრებს გაეღიმათ. არჩილს ენიშნა, აენთო, შეუტია, ულვაშის აწევას დაეჭუქრა,—გააწბილა ერთგული. ეს მწიგნობარი მეფე აჩქარებული ხასიათისა იყო და თავი ველარ შეიმაგრა.

მეორე დღეს ზაზა საღღაც დაიკარგა. ბევრი ეძებეს, მაგრამ ვერ იპოვეს, კვალსაც ვერ მიაგნეს.

ზაზას უეცრათ დაკარგვამ ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია: ამბობდენ შაჰნავაზსავე შეეკედლაო, არა შაჰსულენთან არისო. ჭურმუტში წასულა და იქიდან მუქარას ითვლეევინებაო, იქნება არჩილმა კიდეც მოაკვლევინაო; ზოგი რას ამბობდა და ზოგი რას.

დაკარგული კი ახლოს იყო. არჩილი რომ გაურისხდა, ზაზამ აისხა იარაღი და წავიდა. მიდიოდა და თითონაც არ იცოდა სად მიდიოდა. იმის ერთათ ერთი სურვილი იყო გასცლოდა ხალხს; ადამიანის დანახვა ეჯავრებოდა. შეჰყვა თურდოს. ამ ხევის შეყოლებით ახლაც დიდი ტყეა და მაშინ ეს ტყე უფრო შეუვალი იყო, გაუტეხელი. ყოველგვარი ნადირი ბუდობდა აქ. იარა, იარა და ღელის თავში ავიდა; იქ მარცხნივ პატარა ველი ნახა უდაბური ტყით

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოზღუდული. ველის თავში წყარო რამ გამოჩუხჩუხებდა. მინდორი ყვავილებით მოკაზმულიყო, სამოთხის უბესა ჰგავდა. ზაზას იამა ამ კუთხის ნახვა და დაისვენა; მოისურვა აქ დარჩენა სანამ ფიქრებს შეიკრებდა და რამე გზას დაადგებოდა.

პირველ ხანში ზაზა ჯავრით იყო მოცული, გამარტოებას ცდილობდა და სიამოვნებდა განშორებული ყოფით. ნანადირევით ირჩენდა თავს. მერე მოეწყინა, მოსწყურდა ხალხში ყოფნა, ადამიანებთან ცხოვრება, მაგრამ არჩილთან ნამყოფმა და ამაგდარმა არ ინება სხვის კარს ყოფნა. ბოლოს ნელნელა შეეჩვია მარტოობას. ზამთრისთვის მიწური რამ ბინა გაიმართა და შეეფარა.

დღე დღეს მისდევდა, წელიწადი წელიწადს. გავიდა ხანი. თითქმის გაველურდა ზაზა. თავის დახოცილი ნადირის ტყავის ტანისამოსი ეცვა. თმა აჰბურძგნოდა. თითონაც ნადირს დაჰგვანებოდა. ამ დროს იყო, რომ კახეთში ხმა გავარდა, ციეზე დევი დაბუნაგებულაო.

ამ დევის თვალებს აზრიანი გამომეტყველობა არ დაჰკარგოდა, ძის ბუნაგს ახლო სისუფთავე სუფევდა, წყაროდან რუ მოსდევდა და ამ დევის ბალჩასა რწყავდა.

—

1669 წელს მთელ საქართველოში დიდი ზამთარი იყო, მთაში თოვლი ორ ადლზე მეტი მოვიდა, ზედ ქარი დაერთო და საშინელება ტრიალებდა ტყეში. ზაზა შეჰფარებოდა თავის ბუნაგს, კერაზე სათრისათვის წაეკიდებინა ცეცხლი და ჩიბუხს აბოლებდა, ქარი კი იბრძოდა, გუგუნი გაჰქონდა, ხეებს ჰლეწდა, აბრუნებდა.

— ღმერთო, დაიხსენ საქრისტიანო! იწერდა პირჯვარს ზაზა, რომლის გაქვავებულ გულსაც კი შეჰპარვოდა შიში ამ საშინელ ღამეს.

უეცრათ ქარის ღრიალთან მხეცის ღმუილიც შემოისმა და ამავე დროს კარებმა ზანზარი მოიღო, მოწყდა, გადმოვარდა და ირემი კი გაიშხლართა კერის წინ. ზაზამ ხანჯალი შეიმაღლა, რომ გაეგმი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ცხოველი, მაგრამ მალე მოვიდა გონს და ისევ ჩააგო; გაამაგრა კარები, დაჯდა თავის ადგილას და შინჯვა დაუწყო თავის უცნაურ სტუმარს.

ფურ-ირემი იყო. მწყაზარი ტოტები მის სიმარდეს სახამდენ, მაგრამ ახლა უღონოთ დაეყარა ირემს ეს ტოტები. შიმშილით ფერდი-ფერდს მიჰკროდა, გაზებზე ნაკბილარებიდან სისხლი ჩამოსდიოდა: ნადირს რასმე დაჭღწეოდა პირიდან. შეებრალა, შეუხვია ჭრილობა. ირემი კანკალებდა; ზაზამ ტყავი დაახურა ზედ. საწოლიდან თავი ამოგლიჯა და წინ დაუდო, მაგრამ ცხოველს ჭამის თავი აღარა ჰქონდა: უკანასკნელი ძალა ეხმარა გადასარჩენათ და ახლა ღონე მიხდილს ყელი ბეჩავათ გადაეგდო.

მეორე დღესაც ისეთივე საშინელი დარი იყო. ამ საზარელმა ამინდმა ერთ კვირაზე მეტს გაატანა. ირემი პირველ დღეებში ფეხზე ვერა დგებოდა, ისე იყო დასუსტებული. ამ ხანში ზაზა წამლებს ადებდა იარაზე, ასმევ-აჭმევდა, უვლიდა, ჰპატრონობდა: უხაროდა სულდგმული თავის ბუნაგში.

ირემს რომ ჯერ განუსაზღვრელი შიში ეტყობოდა თვალებში და მიახლოვებაზე თრთოდა და თავს აწყვეტდა, მერე ნელ-ნელა შეეჩვია ზაზას, თვალებში ნდობა გამოეხატა. მეტადრე ძალიან იამებოდა ირემს, როცა პატრონი მარილს ალოკებდა და თან თვალებზე ხელს უსვამდა.

გაეიდა ხანი, ირემი მოსულიერდა, მობრუნდა. ზედატანებაზე თოვლიც გადნა, მიწა აფუვდა, ტყე აკოკორდა; გაზაფხულმა აათქვირა ბუნება. ზაზა ძალიან შეეჩვია თავის სტუმარს და ახლა ნაღვლობდა, ირემი ისევ წამივაო, მაგრამ ირემი რომ გამოვიდოდა ქოხიდან, მიიევლ-მოიევლიდა, ისევ ბრუნდებოდა შინ. შეამჩნია, ნადირი შემეჩვია, ამაგი დამიფასაო და უმატა ალერსს, მოვლას. ბოლოს დარწმუნდა ირემი თავს აღარ დამანებებსო და სიამოვნებით აევსო გული.

ერთ დილას ირემი ჩვეულებრივ გამოვიდა, მიიარ-მოიარა ველი, წყაროში ტუჩი დაისველა, ბუჩქნარი გადიარა, მიეფარა. ზაზა ამეებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა ყურადღებას აღარ აქცევდა, რადგან ბევრჯელ მიეფარებოდა ხოლმე ირემი მაგრამ საღამოზე ისევ გამოჩნდებოდა და მიეალერსებოდა პატრონს. დაღამდა კიდეც, ირემი კი არსადა ჩნდა. იმ ღამეს არ დაბრუნებულა. მეორე დღეს ზაზა შეუდგა ირმის ძებნას, შემოუარა ტყეს, ბევრი ეძება, სახელიც უძახა, მაგრამ ამაოთ: ირემი დაიკარგა. დაღონდა ზაზა.

— მე მეგონა, ცხოველს მაინც შევასმენ ჩემ სიკეთეს, ის მაინც დამრჩება მადლიერი და, დახეთ აქაც მოეტყუედი, ფიქრობდა ის.

რამდენისამე დღის შემდეგ ირემი ისევ გამოჩნდა ველზე, მაგრამ მარტო კი არა, ამხანაგით: უშველებელი ხარ-ირემი მოსდევდა თან. ზაზას ძალიან გაეხარდა, დაუძახა, გაეშურა იმისკენ. ირემმა ხელის ლოკვა დაუწყო, ხარ-ირემი ცოტა ხანს გაკვირვებული უყურებდა თავის ცალის ქცევას, მაგრამ მერე დაიფრუტუნა და გადახტა ტყეში.

ამას შემდეგ ირემი ხშირათ მიდიოდა ბინიდან, ღამეც დაჰყოფდა სახლ გარეთ, მერე კი ისევ ბრუნდებოდა. ტოლიც აუცილებლივ მოჰყვებოდა და აღარც ისე ძლიერ უფთხოდა ზაზას, თუმცა კი არ ეკარებოდა.

ერთხელაც გადიკარგა ირემი და რამდენისამე დღის შემდეგ დაბრუნდა, თან პაწაწინა ნუკრიც მოიყვანა. ხარ-ირემს ეძნელებოდა ახლა თავისების თავდანებება, მაგრამ როცა ზაზამ ისინი სახლში შერეკა, ის ისევ ტყეში გადავიდა. ამას შემდეგ ზაზამ სადგომი გააფართოვა, გომური რამ გამოუთხარა თავის მეგობრებს.

გავიდა ხანი, ზაზამ მოაშენა ირმები. ახლა საჭიროც იყო იმისათვის ეს ღვთისწყალობა, რადგან გატყდა, მარჯვენა აღარ ერჩოდა და შინ უნდა დაეგულებინა სარჩო.

ზაზა გულდამშვიდებით ცხოვრებდა, უელიდა თავის ათას გვარ მწვანილით და ყვავილით აფერადებულ ბაღჩას, უგროვებდა სუნნელოვან თივას თავის მეგობრებს, რომ ზამთარს არ დაეჩაგრა ისინი.

გაიარეს წლებმა. ერთ ღამეს იყალთოდან დაინახეს ცეცხლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სინათლე, რომელიც თურდოთ ღელის თავში ტყიდან გამოშუქდა. გაუკვირდათ, პირჯვარი დაიწერეს; აცნობეს მოძღვარს. მოძღვარმა იფიქრა აღბათ სასწაული რამ გამოჩენილაო და გზას გაუდგა. შეიარაღებული ბიჭები გაჰყვენ თან. მივიდენ იმ ადგილს და მიცვალებული დახვდათ; დაწყნარებულ სახეზე ღიმი შეჰშრობოდა. ირმები გარს შემოხვეოდენ და განცვიფრებული ჩაჰყურებდენ პატრონს და შეშინებული იტყოდენ.

— მართალი კაცი გარდაცვლილაო, თქვა მოძღვარმა და პირჯვარი გამოისახა.

ვ. ბარნოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველი თქმულება აღდგომის კვერცხებზე.

(ფრანგულიდან)

ვარცმის დღეს (წითელ პარასკევს) ერთი პატარა მგალობელი ჩიტი იჯდა კვერცხებზე ბუდეში, რომელშიაც ედგა რამდენიმე სპილოს მვალსავით თეთრი კვერცხი. ამ საშინელ დღეს, როდესაც მთელი ქვეყანა შემრწუნებული იყო ქრისტეს წვალებით, პაწია ჩიტსაც გული უმგერდა შიშით, მაგრამ დედობრივმა გრძნობამ სძლია შიშს და უფრო ცხარეთ დაჯდა კვერცხებს, თითქოს უნდოდა თავგანწირულებით აეცილებინა მათთვის ოველივე განსაცდელი. უცებ დაბნელდა, დედა მიწა შეირყა, მთანი და კლდენი შუა ირღვეოდენ, მაგრამ მიუხედავათ ამ საშიშარი მოვლენისა, პატარა ჩიტუნა იჯდა უძრავათ და პაწია სხეულით ცდილობდა დაეცვა გაუგებარ მოვლენისგან თავისი კვერცხები. დაღამდა, ჩიტმა იგრძნო რომ განსაცდელმა განვლო, დახედა კვერცხებს და რა დარწმუნდა მათ სიმრთელეზე, დააპირა მისცემოდა მშვიდობიან ძილს.

იოსებ არიმათიელმა მოთხოვა პილატეს გვამი ჩვენის მხსნელის იესო ქრისტესი, შესუდრა იგი და ჩაასვენა საფლავსა; ის ხე, რომელზედაც იჯდა ჩვენი მგალობელი ჩიტი, იდგა სწორეთ იმ ადგილს, სადაც დაასაფლავეს მაცـ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოვარი, ხის ტოტები ჩრდილავდენ წმიდა ალაგს. ფეხის სმაურობაზე ჩიტს გამოეღვიძა და შეხედა გამოკვეთილ კლდეს, სადაც ამ დროს შეასვენეს გვამი იესო ქრისტესი. როდესაც მან დახედა მის გაფითრებულ შვენიერ ღვთიურ სახეს, მის ლურსმნისაგან დახვრეტილ ხელ-ფეხს, მწუხარებით აუჩქროლდა გული და მორთო ისეთი გალობა, რომლის მგზავსი არ სმენია მას-აქეთ ქვეყანას. მთელ იმ დიდ და ბნელ ღამეს არ შეუწყვეტია სმა; ის იყო გალობა რაღაცა ძლიერი, გულსაკლავი, მასში ისმოდა ტირილი, ვაება და კვნესა სულისა; თითქოს ის ეძებდა რასმეს ამაოთ დაკარგულს; თითქოს გლოვა მთელის ქვეყნისა შეერთებოდა მის გალობასა. როგორც კი ირაჟრაჟა, ყოველივე სდუმდა, ჩიტმაც დაასრულა თავისი მწუხარე ღამის თევა და, ფრთაში თავ ჩამალული, თითქოს მიეცა საუკუნო ძილს. მთელ დღეს ასე მკვდარსავით, უძრავათ იყო, შაგრამ შუაღამის წინ, მან იგრძნო რაღაცა ძალა და მკვირცხლათ შეიფთხრიალა. მიუგდო ყური, ჯერ არა ისმოდა რა, მიიხედ-მოიხედა, ისევ სიბნელით იყო მოცული არე-მარე. სულგანაბული, გულის ფანცქალით ჩიტი მოელოდა რაღაცა სიამოვნებას; აი მოესმა თითქოს ჰაერი გააპო რაღამაც, გაიგონა ნაზი შრიალი ფრთებისა, და ნათელმა ნელნელა გაარღვია სიბნელე, შუქი თან-და-თან ახლოვდებოდა, აგერ მან დაინახა ბრწყინვალე ანგელოზი, ჩამოშავალი ზეცით, რომელიც მიადგა კლდის შესავალს, სადაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

იდვა ჯვარცმული უფალი ცისა და ქვეყნისა, ლოდი მის საფლავიდან თავისით გადაგორდა, განსვეტაკებული დიდებით აღდგა იესო ქრისტე და განანათლა ქვეყანა. ჩიტი უმზერდა, სიხარულმა წარიტაცა მთელი მისი არსება და დაატკბო ისეთი გრძნობით, რომელიც არასოდეს არ გამოეცადნა. ხელახლათ მორთო თვისი ვალობა, მასში ისმოდა ასლა სიხარული და აღტაცება; თვით ზეცამდის მიაღწია მისმა გრძნობით სავსე ტკბილმა ხმამ და ეოველ მსმენელს აღუვსო გული სიყვარულით და ბედნიერებით! ანგელოზმაც მოისმინა აღტაცებული გალობა, რომლითაც ჩიტი ეგებებოდა აღდგომილ ქრისტეს, მოაგონდა აგრეთვე მწუხრი ხმა მისი წინა ღამისა, მიუბრუნდა ჩიტს და უთხრა: „შენ, რომლის გალობაც ადის მაღლა ზეცაში

„ღვთიურო მადიდებელო, იყავ კურთხეულ ამ ქვეყანაში,

„შენის ბარტყებით, თეთრის კვერცხებით,

„მწვანე ხავსიან ლამაზის ბუდით!

მას აქეთ ეოველ აღდგომის განთიადს ამ უცხო ფრინველის კვერცხები, ანათებენ მვირფას თვლებსავით, და აუწყებენ ქვეყანას წმინდა დღესასწაულს „ქ რ ი ს ტ ე ს ა ღ დ ე გ ი ს ა ს“.

კნ. ანას. ამილახვრისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჩემი კერძი“.

ამბავი.

ითელი ჰარასკევი იყო. მთელი სოფელი საღდგომოთ ემზადებოდა: ლოგინი, ტანისამოსი, ჭურჭელი და ხარა-ხურა დიასახლისებს ეზოებში გამოეტანათ. კარფანჯრები გაეღოთ და ოთახებს ჰგვიდენ. ზოგი ჰურს აცხობდა; ნიავს ხანდახან ნაზუქის სუნიც მოჰქონდა. კვერცხებსაც დღესა ღებდენ: წითელი ჰარასკევია და უფრო კაი ფერზე შეიღებებაო. სოფლის ნახევარი ვაჟკაცობა ქალაქს იყო წასული. მოგეხსენებათ, სოფელი კვრინჩხიანი მარჯვეთ არის ქალაქზე: შეშა, ჭიგო, კვერცხი, თუ სხვა რამ გასაყიდი მოეძეოდათ, ქალაქს წაეღოთ და ხელ-ცარიელნიც არა ბრუნდებოდენ ოჯახში; დანიშნულ ვაჟებს თავიანთ საცოლეებისთვის ბაშმაკები, „ბუზიკა“, შაქრის კვერცხი და სხვა საჩუქრები ეყიდნათ. ბევრ მათგანს ხელში ფაქიზათ გახვეული ყვავილებით შემკობილი კელაპტრები ეჭირათ და გულში იდგენდენ, როგორ გავიდოდენ იმათი დანიშნულები ლიტონიაზე... ცოლ-შვილიან ვაჟკაცებს თითო-ოროლა გირვანქა ლორი, ახალი ყველი და ზოგსაც ჰატარა ჰასკები და სხვა რამ მოჰქონდათ. დროებით გადავიწყებოდათ ეო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველ დღიური ჭირ-ბორბოტი და სადღესასწაულოთ ემზადებოდენ.

მაშა დიმიტრი ეკლესიას ამზადებდა; ბარძიმ-ფეშხუმი და ჯვარი დაეხეხნა და ახლა სველი ტილოთი ხატებსა წმენდდა. დიაკვანი საცეცხლურს ჰხეხდა, მნათე ეკლესიის ეზოსა ჰგვიდა. ზარებისთვის-კი დილასვე შეება ახალი თოკები.

ისაია დალაქიც დიდ საქმეში იყო: სხვა დროს რომ მარტო შაბათობით მოიგონებენ ხოლმე თავის გაკრეჭას და წვერის მოპარსვას, ახლა წინადღითვე დაეწყო მის მუშტარს პარსვა-კრეჭვა.

ასე ამზადებაში იყო მთელი სოფელი, მხოლოთ ოდოშაანთ ოჯახში არავის აგონდებოდა ბედნიერი დღე. აქ კრინტიც არ დაუძრავთ საღდგომო მომზადებაზე. ან-კი რა იმისი სცხელოდათ: ეს მეორე კვირა იყო რაც უველას საეკარელი პატარა მარო მძიმე ავათმყოფი იყო. იმისი მორჩენის იმედი აღარავისა ჰქონდა. „ბედნიერი დღეები მოდის და ჩემი მარო-კი ვერარ ეღირსება წითელი კვერცხის დაჭერასაო", მწარეთ გაიფიქრებდა ხოლმე იმისი დედა სალომე და თითონვე შეეშინდებოდა თავისი სიტყვებისა.

მაროს ბებია ხორეშანი წირვა-ლოცვაზე თუ წავიდოდა, თორემ სხვა დროს სულ ავათმყოფს უჯდა გვერდით და მოვლას არ აკლებდა. ეკლესიაშიც მხოლოთ შვილიშვილის შესავედრებლათ მიდიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაღამდა. დაღალულ-დაქანცულებს და შეწუხებულ დედას და უმაწვილებს აქა-იქ მიეძინათ. წამოდგა ხორეშანი, ზოგს საბანი მიჰხურა, ზოგს კაბის ძველა, მერმე ხატების წინ წმიდა სანთელი აანთო, დაიჩოქა და მხურვალეთ შეევედრა ღვთისმშობლის ხატს, რომ აღარ ეჩვენებინა მწარე დღეები და გამოერჩინა საუვარელი მარო. გადიწერა პირჯვარი და ახლა წმიდა მიტროფანეს ხატს შეჰხედა... ხომ ჰხედავ ჩვენ გაჭირვებას, წმიდაო მიტროფანე, შენ მოგვხედე მოწყალე თვალით... ადგა მოხუცი და ისევ ავათმყოფს მოუჯდა.

—

მთელი კვირა იყო, რაც ოჯახში საჭმელი აღარა მოხარშულიყო რა. არც რძალს და არც დედამთილს იმისი გული და დრო არა ჰქონდა, არც უმაწვილები თხოულობდენ გვაჭამეთ რამეო. მოიტეხდენ გამსმარ პურს, გავიდოდენ ბოსტანში და მწვანილს ატანდენ. წიოელი კვერცხი არ გაუხსენებიათ. სათამაშოთაც აღარ მიდიოდენ, სახლში ფეხ-აკრეფით დადიოდენ—მარო არ შეეწუხოთო.

— შვილო, სალომე, თავს ხომ არ მოიკლავ მწუხარებით! ე ბალღს მეც ვეეოფი მომვლელათ... ადექი, მიიხედ-მოიხედე, მეცოდებიან ე უმაწვილები, მთელი კვირაა ცარიელ პურზე არიან, ან მხალი მოუთუთქე, ან კარტოფილი გექნება... ორიოდე კვერცხიც შეღებე. აღდგომა დღე მოდის... თითო კვერცხი როგორ არ გატეხონ?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კარტოფილი აღარა გვაქვს და მხალი კიდევ რას ეგვანება უნიგვზოთ!... ეგ-კი არა და ერთი სტაქნის ოდენა ბადაგი-კი მაქვს ბოთლის ძირში. თათარას მოვუდუღებ, შენც გული გადაგელია შიმშილით.

სალომემ თათარა მოადუღა, გაუნაწილა ემაწვილებს, სხვა დროს უსათუოთ რომელიმე მათგანი უკმაუოფილებას გამოაცხადებდა, ცოტა კერძი მერგოვო, მაგრამ ახლა-კი ხმა არავის ამოუღია.

— შვილო, მარო, აი თათარა მოვხარშე... შენ ხომ გიყვარს, დედა გენაცვალოს.

მარომ ნელა აახილა თვალები, მაგრამ ისევ მალე ჩახუჭა, არც-კი დაუნახავს, რას უჩვენებდენ.

ყველამ გაათავა კერძი, ნიკამ თეფშებს დაუარა და ისე დალოკა, რომ დარეცხილები გეგონებოდათ.

— შვილო, გადასძახა ნელი ხმით დედამთილმა სალომეს, შენ ხომ იმედი გადაწყვეტილი გაქვს და ნახე თუ ამ ემაწვილმა არ მოიხედოს. აი, შუბლზე წიწკნა გრილი ოფლი წომოადგა. გამოცდილებით ვიცი, რომ ეს კაი ნიშანია. აგერ თითქმის საუკუნე სრულდება, რაც ქვეყანაზე ვცხოვრობ და ბევრი ავათმეოფი მინახავს... ღმერთს რა გაუკვირდება, ვენაცვალე იმის მადლსა და სახელს. სიზმარიც კარგი მაქვს ნანახი: წელან წამთვლიმა და ვნახე, რომ ვითომ დიდი ნიაღვარი მოდიოდა ჩვენი სახლის-

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

კენ; შე და შენ ფიცარი მივაშველეთ და წყალი შოშიას გზისკენ გადავარდა.

შაბათი საღამოა, ცამ მოიწმინდა, ჩამავალმა მზემ ოდოშაანთ სახლშიაც შეაშუქა. ხორეშანი საბანს უტკეპნიდა ავათმყოფს... ემაწვილმა თვალები აახილა და ნელი ხმით ამოიძახა: „ცემი კელძი". გაეხარდათ რძალ-დედამთილს, თავის ეურებს არ უჯერებდენ, რომ ეს სიტყვები მაროს წამოთქმული იყო. მიხვდენ, რომ მარო თათარას თხოულობდა. ამას-კი ვერ მოიგონებდენ, რომ ემაწვილი ისე მოიხედავდა ჯამასაც მოითხოვდა: ერთი კოვზი თათარაც არა ჰქონდათ. მაგრამ სალომე მალე გამოვიდა გაჭირვებიდან; ამონაყა ერთი ნატეხი შაქარი, ჩაჭყარა წყალში და ჰაწაწა ტაფით შემოდგა ცეცხლზე. როცა წამოდუღდა, მოუკიდა ფქვილი და მზათ იყო თათარა. მიუტანა მაროს, შეჭამა ემაწვილმა ორი კოვზი და მთლათ მოკეთდა, ახლა-კი ტკბილათ ჩაიძინა.

— მგონია მოგვხედა ღმერთმა, თქვა ხორეშანმა, აი რა მშვიდათა სუნთქავს... ამას აღარა უჭირსრა. მართლაც მთელი ღამე შვენივრათ ეძინა მაროს. შუაღამისას რომ ზარების რეკა დაიწყეს, მაროს გარდა ყველას გამოეღვიძა.

ნიკო ეკლესიაში მეზობლებს გაჰყვა. დაიწყო აღდგომის ბრწყინვალე ცისკარი და წირვა. ეკლესია გაკაშკაშებული იყო წმიდა სანთლებით. მორთულ ხალხს ჰირზე ღიმი ედგა. ყველა მხიარულობდა, მაგრამ არა მგონია ნი-

198394

საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოზე გახარებული ოოფილიო ვინმე იმ დილას, ის სრულებით არა წუხდა, რომ დედამ ახალი ახალუხი ვერ გაუთავა. განა არ იცოდა, რომ დედას იმისთვის არ ეცალა!

გათავდა წირვა. ხალხი შეუდგა „ქრისტე აღდგა“-ს მილოცვას და ერთმანეთის გადაკოცნას. ნიკო ყველას ახარებდა—ჩვენი მარო კარგათ არისო. მალუა ქეთევანმა ერთი კვერცხი მისცა ნიკოს. იმან კბილზე გაშინჯა და არავის დაუკრა, რადგან დუნე კვერცხი იყო. გამოვიდა მღვდელი და შეუდგა მრევლისგან მიტანილ სანოვაგის კურთხევას. ნიკომ მოახერხა მღვდელთან მიახლოვება და იმასაც ახარა, მარომ თათარა ჭამაო. მამა დიმიტრიმ თავზე ხელი გადუსვა და უთხრა: „აბა, დედაშენს-კი შეეშინდა მე, რომ ემაწვილის ზიარება მოვინდომე, ეგონა ცუდ ნიშნებს ვატეობდი“.

მღვდელმა რამდენიმე ნაკუთხი კვერცხი, ბატკნის ხორცი, ყველი და სხვა გაატანა ნიკოს.

სიხარულით ფეხზე აღარ იდგა ნიკო. მხიარულათ მიირბინა შინ და მიულოცა „ქრისტე აღდგა“. გამოტანებული კვერცხები და სხვა ბებიას გადასცა.

— ღმერთმა აღღეგრძელოს ჩვენი ღვდელი, რომ მოვგონებივართ. ღვთისნიერი კაცია... მიჭვდებოდა, რომ ღღეისთვის არაფერი გვექნებოდა დამზადებული.

მარო მალე სულ გამორჩა. საქებობას ლოგინიდან წამოდგა და კვირა ღღეს ხომ კვირაცხოველშიაც წავიდა სალოცავათ.

ალ. ბარნოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზაფხული.

იიპარება მოხუცი,
ჭალარა, თეთრი წვერითა,
ჭუჭყიან ტალახიანი,
შემკრთალი, ნაცრის ფერითა.
მის ადგილს იჭერს ლამაზი,
სახითა შვენიერითა,
ყვავილის კაბა ჰმოსია,
მორთული მრავალ ფერითა.
ზურმუხტის ტახტზე დაბძანდა,
ხალისიანი მღერითა,
სიმებმა უწყეს წკრიალი,
სასაიდუმლო ულერითა.
ამხანაგები მოისხა:
შაშვი, მერცხალი, ბულბული,
საიმედო ხმას თითონაც
ბანს აძლევს გახარებული.
მწვანეთ ბიბინებს მინდორი,
ბალში ატირდა ვაზია;
გაგვიზაფხულდა ყველასა,
გულისა რა ლამაზია!..

მ. ლელაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელლო და პატრაში.

(მოთხრობა უიდისა).

VII.

ერთხელ, როდესაც ნელლო და პატრაში თოვლით გადაპენტილი გზით ანტვერპენიდან სახლში ბრუნდებოდენ—თოვლში მათ შენიშნეს პატარა ლამაზი დედოფალა, ოქრომკედით ნაქარგ ტანისამოსში გამოწყობილი. რადგანაც ნელლომ მისი პატრონი ვერ იპოვნა, გადაწყვიტა ალოიზასთვის ეჩუქებინა.

წისქვილს რომ მიუახლოვდა, სრულიად ბნელოდა. ნელლომ კარგათ იცოდა, საით მხარესაც იყო პატარა ქალის ოთახის ფანჯარა; ამ ფანჯარას სწორეთ დერეფნის სახურავი უდგებოდა; ნელლო შეეიდა სახურავზე, მიუახლოვდა ფანჯარას და ნელა დაარახუნა: შეშინებულმა ალოიზამ მაშინვე გამოიხედა. ნელლომ პატარა დედოფალა გაუშვირა.

— თოვლში ვიპოვნე, ალოიზა, —უთხრა მან ჩუმათ.—წაიღე და ღმერთმა მოგახმაროს!—და ნელლო ისე სწრაფათ ჩამოსრიალდა სახურავზე და ჩამოხტა ძირს, რომ ქალიშვილმა მადლობის გადახდაც ვერ მოასწრო.

ამ ღამეს წისქვილში ცეცხლი გაჩნდა; წისქვილზე მიდგმული ბეღლები და სხვა შენობები მთლათ ერთიანათ გადაიწვა, ბევრი ფქვილი და მარცვალი წახდა და გაფუჭდა, მაგრამ თვით წისქვილი კი, სადაც ალოიზა და მისი დედმამა ცხოვრობდენ—უვნებლათ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარჩა. სოფლის მცხოვრებლები ჭინჭველებსავით ირეოდენ წისქვილს გარშემო, ქალაქიდან ცეცხლის საქრობი რაზმი ჩამოვიდა. მეწისქვილეს ყველაფერი დაზღვეული ჰქონდა, ისე რომ ზარალი არაფერი მოსელია, მაგრამ მაინც საშინლათ გაბრაზდა და ყვიროდა, ნამდვილათ ვიღაცამ მტროობით გადამწვაო.

სოფელში ატეხილ ხმაურობაზე ნელლოსაც გაეღვიძა და ისიც წისქვილისაკენ გაიქცა მისაშველებლათ. კოგეზმა ხელი ჰკრა ბაეშს და გაჯავრებით უთხრა:

— წუხელი აქ დათრიალებდი... უთუოთ კარგათაც გეცოდინება რისგან გაჩნდა ცეცხლი!

ნელლომ არაფერი უპასუხა, თუმცა ძალიან გაუკვირდა, რა დროს ხუმრობაა ახლა, ამისთანა დროსო.

მაგრამ მეწისქვილე არ ხუმრობდა; მეორე და მესამე დღესაც ესევე გაიმეორა; ნელ-ნელა მთელ სოფელში ხმა გავრცელდა, ნელლო იმ ღამეს სულ წისქვილს უტრიალებდა გარსო და ეს საეჭვო უნდა იყოს, რადგანაც მეწისქვილე დიდი ხანია სძულს, მას აქეთ, რაც მან ალოიზასთან თამაში და ყოფნა აუკრძალაო. მთელ სოფელს კოგეზის ხათრი ჰქონდა, და მის და სასიამოვნოთ ყველამ განზე ყურება დაუწყო ნელლოს; პირში არავინ არაფერს ეუბნებოდა, მაგრამ ბაეში გრძნობდა, რომ ყველა ერიდებოდა. რითი შეეძლო საწყალ ნელლოს, უპატრონოს და გულუბრყვილოს, რომ ყველას წინააღმდეგ წასულიყო

ერთხელ მეწისქვილის ცოლმა უთხრა ქმარს.

— რათ ექცევი აგრე სასტიკათ იმ საცოდავ ბაეშს? ის პატიოსანი და კარგი ყმაწვილია, ფიქრათაც არ მოუვიდოდა იმის ჩადენა, რასაც შენ აბრალებ!—მაგრამ კოგეზი ჯინიანი იყო; რასაც ერთხელ იტყოდა, იმას აღარ გადუდგებოდა, კიდეც რომ შეეგნო, უსამართლოთ ვიქცევიო.

ნელლო მოთმინებით, თუმცა ამაყათ იტანდა ყველაფერს, მხოლოთ პატრაში ხედავდა ხოლმე მას მწუხარებას... თუ საჩუქარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივიღე, ვნახოთ, თუ ყველამ არ ინანოსო!—იტყოდა ხოლმე ნელლო და ამით ინუგეშებდა თავს.

მაგრამ მაინც ბავშს, რომელიც დაბადებიდან აქამდის, 15 წელიწადი, სულ ერთსა და იმავე პატარა სოფელში ცხოვრებდა, რომელიც ამ სოფელში მარტო მოფერებას და ყველას მოკეთეობას იყო შეჩვეული—ყველასგან გამონაპირების გამო სიცოცხლე ძალიან უძნელდებოდა, განსაკუთრებით ახლა, ამ ცივ, სასტიკ ზამთარში, როცა სინათლეს და სითბოს ნახვა მარტო მეზობელი გლეხების ქოხებში შეიძლებოდა, მხიარულათ აგიზგიზებული ცეცხლის წინ; ზამთრობით ყველა გლეხები ერთმანეთს კიდევ უფრო უკავშირდებოდენ, სულ ერთათ იკრიბებოდენ ხოლმე, მაგრამ ნელლოს და პატრაშს სიახლოვესაც არავინ იკარებდა და ისინი ღვთის ანაბარას ეყარენ თავის ცივ, ნოტიო ქოხში. ახლა ისინი ხშირათ ულუკმა პუროთაც რჩებოდენ, რადგანაც ამ უკანასკნელ დროს ანტვერპენიდან ვაჭარი ჩამოდიოდა და რძე გლეხებისაგან თვით იმას მიჰქონდა, მხოლოთ სამი თუ ოთხი გლეხი ატანდა ისევ თავის რძეს ნელლოსა და პატრაშს. ამის გამო პატრაშს ტვირთი ძალიან შეუმსუბუქდა, მაგიერათ ნელლოსაც ჯიბე სულ დაუცარიელდა.

პატრაში მაინც ჩვეულებრივათ შეჩერდებოდა ხოლმე იმ ჭიშკრების წინ, საიდანაც უწინ რძით სავსე ქოთნები გამოჰქონდათ მის პატარა, მწვანე ურემზე დასადებათ; მაგრამ ახლა ეს ჭიშკრები მისთვის დაკეტილი იყო და პატრაში ერთ ხანს ყვედრებით შეჩერებოდა მათ. მეზობლებსაც უძნელდებოდათ მათთვის უარის თქმა, გული სიბრალულით ეთუთქებოდათ, როცა ხედავდენ, რომ პატრაში თითქმის ცარიელ ურემს მიახრიგინებდა, მაგრამ კოგეზის ეხათრებოდათ და ძალა უნებურათ ასე იქცეოდენ.

VIII.

შობა ახლოვდებოდა.

სასტიკი ყინვები იდგა. აუარებელი თოვლი მოვიდა; წყლებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყინული ისე გასქელდა და გამაგრდა, რომ ქვეითი კი არა, ცხენოსანი კაციც თავისუფლათ დადიოდა ზედ. ამ დროს მთელი სოფელი მხიარულათ ირთვებოდა სადღესასწაულოთ; ყოველი ქოხის კედლებს შაქრისაგან გაკეთებული წმინდანების სახეებით ამშვენებდენ, ყოველ ქოხში ცეცხლზე ქვაბი ჩუხჩუხებდა, რომელშიაც გემრიელი საჭმელები მზადდებოდა; ყოველგან ტკბილეულობას და ქადებს შეექცეოდენ, ხუმრობდენ, იცინოდენ, ცეკვამდენ... სახლიდან საყდარში და საყდრიდან სახლში ჭრელ კაბებში გამოწყობილი ახალგაზდა ქალიშვილები გარბოდენ და გამორბოდენ; ისინი მხიარულათ ესაუბრებოდენ ერთმანეთს და, თითქო რაღაც ბედნიერება სწვევიათო, სულ იცინოდენ და იცინოდენ

მხოლოთ ერთ პატარა ქოხში, სოფლის განაპირას, ბნელოდა და ცივოდა; იქ არც მხიარულება იყო და არც სიცილი ისმოდა.

ნელლო და პატრაში სულ მარტოთ მარტო დარჩენ ამ ქვეყნათ. სწორეთ შობის წინა დღეებში ეწვია მათ ქოხს სიკვდილი და მოხუცი დაასი თან წაიყვანა. მართალია, დაასი დიდი ხანი იყო, ველარ იძროდა, ლაპარაკიც ძლივს შეეძლო, მაგრამ მაინც მისი სიყვარული თითქო სითბოს აგრძნობინებდა ნელლოს და პატრაშს, მისი ღიმილი მათ დაღალულობასაც და შიმშილსაც კი ხშირათ ავიწყებდა... ახლა კი მოხუცი დაასი აღარ იყო; მისმა სიკვდილმა ორივეზე საშინლათ იმოქმედა; სწარეთ ქვითინებდა ნელლო და დაღონებით მისდევდა მას უკან პატრაში, როცა მოხუცი დაასი სასაფლაოსკენ წაასვენეს; მათ გარდა არავის არ დაწყვეტია გული, არავის ერთი სიტყვითაც კი არ მოუხსენებია საცოდავი მოხუცი.

— იქნება ახლა მაინც მოლბეს და ნება მისცეს ყმაწვილს ჩვენსას სიარულის?—ჰფიქრობდა მეწისქვილის ცოლი და ჩიბუხით პირში ცეცხლთან მიმჯდარ ქმარს აკვირდებოდა.

კოგეზმა კარგათ იცოდა რაზედაც ჰფიქრობდა მისი ცოლი, მაგრამ ჩვეულებრივ ჭინიანობას არც ახლა გადუდგა; დაასის კუბო რომ მის სახლის წინ ჩაატარეს, მან ჭიშკარიც კი არ გააღო.—ის ბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვში ღარიბია, მთხოველია!—ჰფიქრობდა ახლაც,—არ მინდა, რომ ალოიზასთან ერთათ ითამაშოს ხოლმეო.

მეწისქვილის ცოლმა ევრაფრის თქმა გაბედა, მაგრამ, როცა ნელლო სასაფლაოდან დაბრუნდა, დედამ ალოიზას ლამაზი თეთრი ყვავილების პატარა გვირგვინი მისცა და უთხრა, წადი, დაასის საფლავს დაადეო.

ნელლო და პატრაში გულ ჩაწყვეტილები დაბრუნდენ თავის ქოხში. ბედმა ისიც არ აკმარა, რაც რომ თავზე გადახდენოდათ, უკანასკნელი თავშესაფარი, ძველი, ნახევრათ დანგრეული, მაგრამ მაინც საყვარელი ქოხიც კი წაერთვათ. ქირის ფული ერთი თვის ემართათ, გადახდა არ შეეძლოთ და პატრონმა ორიევს გარეთ გამოუძახა. ქირის საფასში მან ნელლოს ჭურჭელი და ზოგიერთი ტანსაცმელიც კი წაართვა და გამოუცხადა, ხვალ სახლი დამიცალეო. მაგრათ ჩაეხუტენ ერთმანეთს ნელლო და პატრაში და მწუხარეთ გაატარეს ქოხში უკანასკნელი ღამე ბნელაში და სიცივეში, ჩამქრალ კერიას პირას.

მეორე დღე—შობის წინა დღე იყო. გაიღვიძა თუ არა, მწარეთ აქვითინდა ნელლო, მიიკრა გულზე თავისი მეგობრის დიდი თავი და მწუხარებით უთხრა—წავიდეთ, ჩემო პატრაშ, წავიდეთ, მეგობარო, თუ არა ძალით გაგვაგდებენ აქედანო.

და ნელი ნაბიჯით წავიდენ ორიევ... ისე ადრე იყო, რომ ფანჯრების დარაბები ჯერ ყველგან დაკეტილი იყო, თუმცა ზოგიერთი გლეხი კიდეც გამოსულიყო გარეთ. მათ არავითარი ყურადღება არ მიაქციეს ბავშსა და ძაღლს. ერთ ქოხთან ნელლო შეჩერდა და კრძალვით შეიხედა შიგ. ამ ქოხის მცხოვრებლებს ერთ დროს ბაბუა მისმა დიდი სამსახური გაუწია.

—პატარა პურის ყუას ხომ არ მიცემთ პატრაშს?—ნელი ხმით ჰკითხა მან დიასახლისს.—ეს ბებერი და უძლურია, და გუშინ დილის აქეთ არაფერი უჭამია!

ქალმა უცებ მოხურა კარები, თან რაღაც წაიბუტბუტა პურის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიძვირეზე; ბავშვმა და ძაღლმა თავისი გზა განაგრძეს. ძეტი აღარაფისთვის უთხოვნიათ მოწყალება.

ანტვერპენში რომ მივიდენ, საქალაქო საათმა ათჯელ დაჰკრა.

— ნეტავი ისეთი რამე მაინც მქონდეს რომ შემეძლოს გაეყიდო და პატრაშს ცოტა პური მაინც ეუყიდო!— ჰფიქრობდა ნელლო... მაგრამ რას გაყიდიდა? ძველი ტანისამოსის და დახეული ფეხსაცმელების გარდა არა გააჩნდა რა.

პატრაში მიხვდა, რასაც ჰფიქრობდა ნელლო და მოფერებით დადვა მის ხელზე თავისი დიდი თავი, თითქო ეხვეწებოდა, ნუ სწუხარ, ჩემი ჯაერი ნუ გაქვსო.

იმ ბავშის სახელი, რომელსაც ანტვერპენის მხატვრები საჩუქარს მიუსჯიდენ, შუადღისას უნდა გამოეცხადებინათ. ნელლო იმ საქალაქო შენობისკენ გაემგზავრა, რომლის კარებთანაც მაშინ თავისი ნახატი დატოვა. იქ ბევრ ხალხს მოეგროვებინა თავი. ბავშმა ძაღლს მოჰკიდა ხელი და ორივე ერთად ფრთხილათ წინ წაიწიენ.

საქალაქო საათმა თორმეტჯელ დაჰკრა. კარები გაიღო და ხალხიც აღელვდა. ყველამ იცოდა, რომ არჩეულ, საუკეთესო ნახატს დიდ ჯოხზე მიაკრავდენ და ყველას დასანახავათ ზევით ასწევდენ, ნელლოს თვალებს თითქო ბინდი გადაეკრა, ბავშს თავბრუ დაეხვა, ფეხები მოეკეცა... როცა ცოტა მოსულიერდა, ზევით აწეულ ნახატს ცახცახით თვალები მიაპყრო, ეს—მისი ნახატი არ იყო. ვიღაცამ ხმა მაღლა გამოაცხადა, საჩუქარი ანტვერპენის მცხოვრებ, ღამის დარაჯის შვილს, სტეფან კისლინგერს მიუსაჯესო.

როცა ნელლო გამოერკვა და თვალები გაახილა, დაინახა, რომ შენობის წინ, კიბის განიერ ქვის საფეხურებზე ეგდო. პატრაში მის გარშემო დაფუსფუსებდა და ცდილობდა მოესურველებინა თავისი პატარა პატრონი. იქით კი, შორს, ვიწრო ქუჩაში, ანტვერპენის ყმაწვილების დიდი გროვა მხიარული ჟივილ-ხივილით აცილებდა თავის ბედნიერ გამარჯვებულ ამხანაგს.

ბავში სწრაფათ ზეზე წამოხტა და ძაღლს მოეხვია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ყველაფერი გათავდა, ჩემო პატრაშ!—მწარეთ წაიფურჩულა მან. —ყველაფერი გათავდა!

შიმშილით და მღელვარებით ბავში ძალიან დასუსტებულიყო, მაგრამ მან მაინც თავს ძალა დაატანა და ისევ წავიდა თავის სოფლისაკენ. პატრაშიც გვერდით მისდევდა, თავისი დიდი, გაბურძგნული თავი ძირს დაეხარა.

სულ თოვდა და თოვდა. ჩრდილოეთიდან სუსხიანი ზამთრის ქარი ჰქროდა. ველზე, სადაც ახლა ნელლო და პატრაში მიდიოდენ, საშინლათ ციოდა.

დიდ ხანს მიდიოდენ... საათმა ოთხჯელ დაჰკრა, როცა ისინი სოფელს მიუახლოვდენ. უცებ პატრაში შედგა, თითქო თოველში რაღაც იგრძნოო. მერე მივარდა ერთ ადგილს და გაჩქარებით თხრა დაუწყო. ცოტა ხანს იქით თოველს ქვეშიდან ამოათრია დიდი მიხაკისფერი ტყავის ქისა და ნელლოს გაუწოდა. ძალიან ბნელოდა, მაგრამ იქვე ახლოს დიდი ჯვარი იყო ამართული და ამ ჯვრის გვერდით ფარანი ბჟუტავდა. ბავში მიუახლოვდა ფარანს და ქისას თვალიერება დაუწყო. ქისას ბაას კოგეზის სახელი ეწერა, შიგ კი ორი ათასი მანეთი იდვა. ამ ნაპოვარმა გამოაფხიზლა ბავში, მან უბეში ჩაიდვა ქისა და პატრაშს მოფერებით თავზე ხელი გადუსვა. ძალლი ყურაღღებით მიჩერებოდა პირდაპირ თვალებში თავის პატრონს.

ნელლომ წისქვილისაკენ გასწია. ის მიუახლოვდა კარებს და მაგრათ მიუბრახუნა. ნამტირალევმა მეწისქვილის ცოლმა მაშინვე გარეთ გამოიხედა; დედის გვერდით ალოიზა იდგა და მის კაბას მაგრათ ჩაფრენოდა.

— შენა ხარ, საცოდავო ბავშო!—სიყვარულით უთხრა ქალმა ნელლოს, თუმცა ცრემლები ახლაც ვერ შეეკავებინა.—წადი, წადი მალე, კოგეზს თვალით არ დაენახო! დღეს დიდი უბედურება დაგვატყდა თავს. ჩემი ქმარი ახლაც ფულის საძებნელათ არის წასული... ქალაქიდან რომ ბრუნდებოდა, ჯიბიდან ქისა ამოვარდა და დაეკარგა... სულ მთლათ დავიღუპეთ... უთუოთ ღმერთი გესჯის ყველა იმ უბედურებისათვის, რაც შენ მოგაყენეთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელლომ ჩუმათ გაუშვირა მეწისქვილის ცოლს ნაპოვნი ქისა, შერე პატრაშს ოთახისკენ დაუძახა.

— პატრაშმა იპოვა ეგ ქისა!—თქვა მან ცოტა ხანს იქით.— უთხარით კოგეზს... მაშინ უთუოთ აღარ გამოაგდებს საცოდავს და ბინასა და საჭმელს მისცემს აქ.. ნუ გამოუშვებთ, ნება არ მისცეთ რომ მე წამომყვეს და, თუ ღმერთი გწამსთ, გულკეთილათ მოექეცით!—და, სანამ ვინმე მიხვდებოდა, რასაც აპიროობდა ნელლო, ის ძირს დაიხარა, მხურვალეთ აკოცა პატრაშს ორივე თვალებში, უცებ გამოიგდო კარი და ღამის წყვდიადში გაჰქრა.

ქალი და პატარა ბავში ძლივს გამოერკვენ მეტი სიხარულისაგან; მათ დაუწყეს ხვევნა და კოცნა თავის მხსნელ პატრაშს, მიუტანეს ტკბილი ქადები, ხორცი, ცდილობდენ ცეცხლთან მიეყვანათ და გაეთბოთ... მაგრამ ყველაფერი ამაო იყო, უნუგეშო პატრაში არც ჭამდა, არც სვამდა და არც ცეცხლს უახლოვდებოდა, კარებს არაფრით არ ცილდებოდა.

ექვს საათზე დაღალულ-დაქანცული მეწისქვილე დაბრუნდა შინ.

— დაიკარგა!—აკანკალებული ხმით თქვა მან.—ფარნით ვეძებეთ ყველგან... ალოიზას მზითევი და მთელი ჩვენი სიმდიდრე— ყველაფერი გაჰქრა!

ცოლმა ქისა გაუწვდინა და ყველაფერი უამბო. სასტიკი მოხუცი უცებ მთლათ აცახცახდა და აღელვებული დაეშვა სკამზე.

— რა ავათ ვეპყრობოდი! ძლივს წაილაპარაკა ბოლოს მან.— ღირსი არ ვიყავი, ღირსი, რომ ასე მომქცეოდა!

პატარა ალოიზამ გაბედა, მიუახლოვდა მამას და მის მხარს მიაყრდნო თავისი ქერა თმა ხუჭუჭა თავი.

— ნელლო ისევ ივლის აქ, არა, მამა?—ნელი ხმით ჰკითხა მან.—ხვალვე მოვა, ხომ?

მეწისქვილემ გულში ჩაიკრა პატარა ქალი. მისი მზისგან დამწვარი სახე ახლა საშინლათ გაყვითლებულიყო, ტუჩები აღელვებისაგან უთრთოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიახაც. დიახაც!—მიუგო მან.—ამ დღესასწაულებს ჩვენთან ერთათ გაატარებს. როცა მოუნდება, მაშინ მოვა ხოლმე ჩვენსას. ძალიან დანაშაული ვარ მის წინაშე, მაგრამ ღვთის მადლით, ვეცდები ყველაფერი გამოვიყიდო.

გახარებულმა ალოიზამ მხიარულათ გადაჰკოცნა მამა, ჩამოხტა მისი მუხლებიდან ძირს და კარებთან ატუზულ ძაღლთან მიირბინა.

— დღეს შემიძლია შევნიერათ გავუმასპინძლდე პატრაშს!— ბავშური აღტაცებით წამოიძახა მან.

მამა მისმა თავი ძირს ჩაჰკიდა.

— ჰო, ჰო, გაუმასპინძლდი ყველაფრით, რაც კი რამ კარგი გაგვაჩნია!—აღელვებით უთხრა მან.

რადგანაც შობის წინა დღე იყო, წისქვილში ბევრი რამ იყო კარგი და გემრიელი: რძე, ნაღები, თაფლი, სხვა-და-სხვა საჭმელი და ტკბილეულობა; ოთახის კედლები გვირგვინებით და სხვა-და-სხვა ფერი ფარნებით იყო მორთული; მთელ სახლში სითბო, სინათლე და მხიარულება სუფევდა... პატარა ქალი ძაღლს თავს ევლებოდა, მაგრამ პატრაში არაფერს ყურადღებას არ აქცევდა; სიცივისაგან მთლათ გაყინულს მას ძალიან შიოდა, მაგრამ უნელლოოთ ის ყველაფერზე უარს ამბობდა, უნელლოოთ მას არც სითბო და არც სასმელ-საჭმელი არ უნდოდა; ის დაღონებით იჯდა კარებთან და მარტო იმას ფიქრობდა როგორმე გაეიპაროო.

— ბავშს ელის!—თქვა კოგეზმა.—რა კეთილი ძაღლია! დაიცადოს! გათენდება თუ არა, წავალ ნელლოს მოსაყვანათ!

მეზობლები წამ და უწუმ შემოდიოდენ წისქვილში, სვამდენ თითო ჭიქა ლუდს და ვახშმისთვის მომზადებულ შემწვარ ბატს შეექცეოდენ. პატარა ალოიზა, იმ ფიქრით გამხიარულებული, ხვალ ჩემი მეგობარი ისევ ჩემთან იქნებაო, სულ ხტოდა, თამაშობდა და ცეკვამდა. კოგეზი მხიარულათ იღიმებოდა თავის ქალს რომ შეჩერებოდა და სულ იმას უმეორებდა, შენ პატარა მეგობარს სამუდამოთ უზრუნველ ვყოფო. ალოიზას დედაც მხიარული სახით ართავდა ცეცხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაპირას; ყველა ეფერებოდა, ყველა ეხაფიფებოდა პატრაშს, მაგრამ მისთვის უნელლოოთ არაფერს არავითარი მიმზიდველობა არ ჰქონდა.

როდესაც ვახშმისთვის სტოლი დახურეს, როდესაც სტუმრები მას გარს შემოუსხდენ და ხმა მაღლა ლაპარაკი დაიწყეს, როდესაც ალოიზა ყველას საშობაო საჩუქრებს ურიგებდა—პატრაშმა დრო ხელთ იგდო; ის უცებ გასრიალდა ღიათ დატოვებულ კარებში და გზისკენ გაეშურა ამ ბნელ, სუსხიან ზამთრის ღამეში. მას ერთათ ერთი სურვილი ჰქონდა—რამე ნაირათ ნელლო ეპოვნა.

IX.

მთელი ღამე თოვდა, თეთრ ზეწარს სრულიად დაეფარა ნელლოს კვალი. ქარი მძლავრათ ჰქროდა. გზაზე ჯვრებთან დანთებული ფარნები სულ ჩამქრალიყვენ; ისე ბნელოდა, რომ თვალი ქოხებსაც კი ვერ არჩევდა. გარეთ სულიერი ადამიანი არ ჩნდა, ყველა ლხინობდა და მხიარულებდა თბილ და ნათელ ოთახებში, მხოლოთ პატრაში, მოხუცი, უძლური, მშიერი პატრაში დაეხეტებოდა სიბნელეში და სიცივეში... მას ძალ-ღონეს აძლევდა ყოველათ შემძლებელი, თავგანწირული სიყვარული.

შუალამე გადასული იყო, როცა პატრაშმა ნელლოს კვალს მიაგნო, ქალაქის ვიწრო, მიხვეულ მოხვეულ ქუჩებში. ქალაქშიდაც სიბნელე სუფევდა. მხოლოთ აქა-იქ, მოკეტილ დარაბებიდან გამოსჭერეტდა სანთლის შუქი. ისმოდა ქარის მძლავრი შხუილი, რომელიც ფარნის სვეტებს იქით აქეთ არხევდა და დუქნების წინ მიკრულ ფიცრებს თვისი ადგილიდან ჰგლეჯდა.

იმდენ ვისმეს გაევლო ამ გზებით, იმდენი სხვა-და-სხვა კვალი ჩნდა თოვლზე, რომ პატრაშს ძალიან უძნელდებოდა ნელლოს კვალზე გაყოლა. მაგრამ დაღალული მშიერი პატრაში მაინც იმედს არ ჰკარგავდა და მოთმინებით განაგრძნობდა ძებნას, არც სიცივეს, არც ყინვას, არც ავდარს ყურადღებას არ აქცევდა. გაყინული თოვლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თათებს უსისხლიანებდა, სუსხიანი ქარი თითქო ძვლებშიდაც კი უჯდებოდა, მაგრამ ის მაინც სულ მიდიოდა და მიდიოდა... მალე ტაძარს მიუახლოვდა.

ლოცვის შემდეგ ტაძრის კარები აღარ დაეკეტნათ და ის ფართეთ იყო დაფეღილი. განიერ საფეხურებზე პატრაშმა ნაცნობი კვალი დაინახა; ის გაჰყვა მას, შეეიდა ჩუმ და ბნელ უზარ-მაზარ ტაძარში და კანკელს მიუახლოვდა. იქ, კანკელის წინ, ქვის ცივ იატაკზე, ნელლო იყო გაშხლართული... პატრაში ნელა მიუახლოვდა მას და სიხარულით სახე აუოლოკა;—ნუ თუ გეგონა რომ თავს დაგანებებდი?—თითქო ეკითხებოდა ამ მოფერებით ის პატარა ნელლოს. —მე ხომ შენი მეგობარი ვარ! ბავში წამოიწია, მეგობრის დანახვაზე სიხარულით წამოიყვირა და მხურვალეთ მოეხვია მას კისერზე.

— ერთათ მოვკვდეთ...—წაუფურჩულა მან.—არც მე და არც შენ არავისთვის საჭირო არა ვართ, არც ერთი არავის არ ვუნდევართ!

პატრაში კიდევ უფრო ახლო მიუჩოჩდა ბავშს და თავისი გაბურძგვნილი თავი გულზე დაადვა. მის დიდ, აზრიან თვალებში ცრემლები ბრწყინავდენ.

ორივე მეგობარი მაგრათ მიეკრენ ერთმანეთს. საშინლათ ყინავდა, დიდ, ქვითკირის კედლებიან და ქვის იატაკიან ტაძარში კიდევ უფრო ცივდა ვიდრე გარეთ. სიჩუმეს არაფერი ხმა არ არღვევდა, მხოლოთ ხან და ხან ღამურა თუ გაიფთხრიალებდა ხოლმე. სიცივისაგან ბავშსაც და ძაღლსაც მაგრათ ჩაეძინათ. ორივეს უწინდელი ბედნიერი დღეები ესიზრმათ, ის დღეები, როცა უზრუნველები და მხიარულები მწვანე-მინდორ-ველებზე დარბოდენ და თამაშობდენ, ან და მოშრიალე ლერწმებს შორის იჯდენ და წყალზე ჰიმავალ-მომავალ ნავებს თვალყურს ადევნებდენ.

უეცრათ თეთრი ბრწყინვალე შუქი შემოვიდა ფანჯარაში და მთელი ტაძარი ისე გაანათა, თითქო დღე ყოფილიყოს. მთვარეს გაეხია ღრუბლები და გახარებული, ციმციმით გადმოიყურებოდა ქვეითკენ. ამ ნათელი მთვარის შუქი პირდაპირ რუბენსის ორ დიდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახატს მიეფინა, რომლებსაც, შემოსვლისას, ნელლომ ტილოები ჩამოჰგლიჯა. უცებ ბავშს გაეღვიძა და სწრაფათ ზეზე წამოხტა.

— ოჰ! აკანკალებული ხმით წამოიძახა მან და აღტაცებით გააშვირა ორივე ხელი ნახატებისკენ.—მე ეხედავ მათ!—მისი დიდი შავი თვალებიდან ცრემლები გადმოგორდენ.—ღმერთო, გმადლობ, გმადლობო!

აქ ბავშს ფეხთ მოეკეცა და ის მუხლებზე დაეშვა, თუმცა მშვენიერ ნახატებს მაინც თვალს არ აშორებდა. ერთი წუთი კიდევ — და სინათლე გაქრა, წყვდიადმა ხელ-ახლავ მოიცვა იქაურობა... ნელლო უძლურათ დაეცა პატრაშს გულზე.

X.

დილას ანტვერპენის მცხოვრებლებმა კანკელის წინ იპოვეს ჩახუტებული ბავში და ძაღლი. ორივე გაყინულიყვენ ამ სასტიკ ღამეში. მათ დაჩერებოდა რუბენსის ნახატები, ახლა მზის მხიარული სხივებით განათებული.

მოვიდა ტაძარში სასტიკი შეხედულობის მოხუცი კაცი და მათ დანახვაზე მწარეთ ატირდა; ის ამბობდა.

— მე ავათ ვექცეოდი ყმაწვილს... დანაშაულის გამოსასყიდათ გადავწყვიტე, მეშვილნა და ჩემი საცხოვრებლის ნახევარი მაგისთვის გადამეცაო...

მერე მოვიდა დიდი, სახელგანთქმული მხატვარი.

—მე ვეძებ იმ შესანიშნავ ყმაწვილს, თქვა მან—რომელსაც, თუ სამართალი იყო, ჯილდო უნდა რგებოდა. მან სულ უბრალო ნახატი დახატა, მოხუცი, დაღალული ტყის მცველი, მაგრამ ის უბრალო ნახატი გასაოცარ ნიჭს ამტკიცებდა. მე მინდა ის ნიჭიერი ყმაწვილი ავიყვანო და ხატვა კარგათ შევასწავლო... ერთ დროს შესანიშნავ მხატვრათ შეიქნება..

კიდევ უფრო გვიან მოვიდა პატარა, ქერა თმახუჭუჭა ქალი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილი. ის მწარეთ ჰქვითინებდა, მამის ხელს ეკვროდა და გულსაკლავათ ეძახდა ნელლოს:

— ნელლო, ჩემო კარგო, ჩემო საყვარელო ნელლო, წამოდი, გაიღვიძე და წამოდი, ჩვენ ყველაფერი მოვამზადეთ შენთვისო;— მაგრამ ფერმკრთალი ახალგაზდა სახე, რომელიც რუბენსის მშვენიერი ნახატებისკენ მიქცეულიყო, თითქო რაღაც მწუხარე ღიმილით უპასუხებდა ყველას—„გვიანლა არისო!“

ყინვიან ჰაერში სასიმოვნოთ გაისმოდა ეკლესიებში ზარების რეკა; მზე მხიარულათ აქათქათებდა თოვლით მოცულ არე-მარეს, სადღესასწაულოთ მორთული ხალხი ქუჩებში ირეოდა... მხოლოთ ნელლო და პატრაში იყვენ უძრავათ და უკრძნობლათ; ახლა ისინი მიწყალებას აღარავის თხოვდენ, მათ აღარაფერი ეჭირვებოდათ.

მთელი სიცოცხლე ერთათ გაატარეს — სიკვდილმაც ვერ დააშორა ერთი მეორეს. ბავში ისე მაგრათ მიხუტებოდა ძაღლს, რომ ორი მეგობარი ერთმანეთს ძლივს მოაცილეს. ორივე ერთათ დამარხეს.

ელ. წერეთელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პურის მარცვლები.

(აზრი რუსულიდან)

ვუძღვნი საშა ციციშვილის ქალს.

I.

დათესვა.

„ვილო მიტრო, რატომ არ დაიძინებ? განა არ გეძინება? დღეს მთელი დღე გუთანზე იჯექ ამ პაპანაქება სიცხეში, მოქანცული ხარ და ხვალაც ადრე უნდა ადგე; ხომ იცი ხვალ დასაფარცხი გვაქვს და თესლი ადრიან უნდა გავიტანოთ!“ — ეუბნეოდა მაია თავის უფროს ვაჟს — რვა-ცხრა წლის მიტროს, რომელიც კარებ წინ პატარა ჯირკზე ჩამომჯდარიყო და მიწიან წინდებს ფშვნეტავ-ბერტყავდა. მაიას, მიტროს გარდა, კიდევ ჰყავდა ერთი ვაჟი ბესო — შვიდი წლისა და ერთიც ქალი — თამრო — ხუთი წლისა. ეს უკანასკნელები იქვე დერეფნის ტახტზე გაშლილ ლოგინში ჩაგორებულიყვნენ და, ის იყო, ძილს აპირებდნენ, როდესაც გაიგონეს დედის ხმა. ბესომ მაშინვე გააჭყიტა თვალები და, რომ დერეფანში ვერავინ დაინახა — ტირილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიწყო. მაია მაშინვე შემოვიდა გარედან, მოუწვა შვილს გვერდით და დაუწყო ალერსი, რომ მტირალი ბავში გაეჩუმებინა.

— სუ, შვილო, გენაცვალოს დედა! აბა, რა გატირებს? შენოდენა კაცის ტირილი გაგონილა! დაიძინე და დილაზე ფარცხზე დაგსვამ; ხომ გიყვარს ფარცხზე ჯდომა? არ გახსოვს, შარშან რომ უჯექი ხოლმე?

ბესომ დედას ძუძუებში ჩაუყო ჰატარა ხელები და, დედის ალერსით გულ დამშვიდებულმა, ძილს მისცა თავი. თამაროს, ცოტა არ იყოს, გულს დააკლდა, რომ თითონაც არ ჩაეხუტა დედას; მაგრამ, რომ გაიგონა დედის სიტყვები — დილაზე გაგაღვიძებ და ფარცხზე დაგსვამო, ეს უფრო შეშურდა და დაუწყო დედას ხვეწნა, მეც გამაღვიძეო. ფარცხზე დაჯდომა ისე ესალისებოდა, რომ ამ სურვილით გატაცებულმა ახლავე მოინდომა ამის შესრულება.

— დედა, შენი ჭილიმე, ახლავე დამცვი ფალცხზე, ეტიტინებოდა თამრო დედას.

— არა, შვილო! უთხრა ღიმილით დედამ. ახლა როგორ იქნება, — დილაზე ხორბალი უნდა გავიტანოთ, მამაშენი დათესავს ხნულში და ფარცხსაც მაშინ შევაბამთ.

— ლოგოლ უნდა დათესოს, დედა? ჰკითხა თამრომ.

— ხვალ, შვილო, მამა ჩაიერის სათესში ჰურის მარცვლებს, აი, გოდორში რომ არის, და მერე ხელით

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაავნევს სნულში. მერე ფუფალა წვიმას მოიყვანს, ჩვენი ჰური მწვანე ჯეჯილათ ამოვა, ის ჯეჯილი გაიზდება, გაიკეთებს თავთავებს, რომლებშიაც ბევრი იმისთანავე ჰურის მარცვლები იქნება.

— მელე, დედა? დაეკითხა დედას თამრო.

— მერე, შვილო, იმ თავთავიან გაზდილ ჯეჯილს, რომელსაც ყანას ვეძახით ხოლმე, მოვმკით, კალოზე მოვიტანთ, გავლეწავთ და ბევრი ჰური გვექნება.

— მელე, დედა? კიდევ დაეკითხა თამრო და ამ კითხვის დროს რაღაცა შიშისა თუ სიამოვნების ჟრუანტელმა დაურბინა მთელ ტანში: იმას ვერ წარმოედგინა, თუ რათ, ან როგორ იქნება ყველა ეს, რაც დედამ უამბო; ეს უკანასკნელი „მელე, დედა?“ — ამ გამოურკვეველმა მდგომარეობამ წარმოათქმევინა ბავშს.

— მერე, გენაცვალოს დედაი, შვილო, იმ ხორბალს დავფქვავთ წისქვილში და კაი ლამაზ კვეკვერას გამოგიცხობ... მაშ, აბა, ჩემო გვრიტო, ეხლა შენც დაიძინე და დილაზე თუ არ დაიზარებ და ადრე ადგები, ბოლო მუჯა ხორბალი შენ ჩაუყარე სათესში მამაშენს დასათესათ და ვნახოთ როგორი კაი ხელი გაქვს და შენი ანგელოზი როგორ გაგვიზრდის ყანას! ამ სიტყვებით მაია გაჩუმდა, თამრო კი გადაბრუნდა მეორე გვერდზე და მალეც მიეძინა.

დაეძინა თამროს, მაგრამ მთელი ღამე ათასნაირი სი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზმრები ნახა და ყველაზე საშინელი სიზმარი კი ის იყო, რომ, ვითომ დილით ადრე გაიღვიძა და, როგორც დედა შეკვირდა, ჩაჭყარა სათესში ერთი მუჭა ხორბალი, ამ დროს იმისი ძმა ბესო მიეპარა ჩუმათ და უკანასკნელი მუჭა იმან ჩაჭყარა, თან შემოჭკრა ტაში და ხტუნაობით გავარდა კარში! თამრიოს უნდოდა არ ჩამორჩენოდა ძმას და კიდევ ჩაეყარა ხორბალი, მაგრამ ვითომ გოდორში ვერარ ჩასწვდა ხორბალს და გულმა ისე საშინლათ დაუწყო ძაგ-ძაგი, რომ შეშინებული ზეზე წამოჯდა და აქეთ იქით დაიწყო ცქერა ნაშმინარევი თვალებით, დიდხანს ვერ წარმოედგინა, თუ სად იყო და შიშისაგან ხმას ვერ იღებდა. სწორეთ ამ დროს შემოვიდა გარედან მაია და, რომ დაინახა გამოღვიძებული თამრო, სიამოვნებით ჩაიკრა გულში და ალერსით და კოცნით შვილი გამოაფხიზლა და ტანთ ჩააცვა.

როდესაც ხორბალი ამოიღეს და თავისი ძმებიც კარში გაიგულა, თამრომ დედას მოაგონა წუხანდელი დანახირევი და უკანასკნელი მუჭა ხორბალი ჩაჭყარა სათესში თავისი ჰაწაწა ხელით.

— შენ გენაცვალოს ჰაჰა შენი, ჩემო გოგონავ! ანგელოზი გოგონა ხარ და იმედიცა მაქვს შენ იღბალზე კეთილი ანგელოზის მფარველობა და ღვთის მადლი არ მოაკლდება ჩვენ დღევანდელ ნათესს! თქვა გიგოლამ და სიყვარულით ჩაჭკოცნა თავისი ცუგრუმელა შვილიშვილი.

— ასლა კი წამოდით, შვილებო, ფარცხზე დაგსვათ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უთხრა შვილებს მაიამ, როდესაც მისმა ქმარმა თესვა გაათავა და ფარცხი შეაბა.

II.

ჯ ე ჯ ი ლ ი.

თუმცა კი ევავილები აღარ ალამაზებდენ მინდორს, ხეებზე ფოთლები დაუვითლებულიუვენ და ძირსა ცვიოდენ, ტოროლას ხმაც აღარ ისმოდა ჰაერში, მაღლა მთებზედაც თოვლს თეთრათ გაუდიოდა ლაპლაპი, მაგრამ მაინც შვენიერი შემოდგომა იყო: ძალიან თბილი დღეები დაიჭირა და, ხანდისხან, ჟუჟუნა წვიმაც მოდიოდა, გიგოლაანთ დათესილი ხორბალი თბილმა წვიმამ გააღვიძა, გააღოჯა და თბილმა დღეებმაც იმათ ფესვები მიწაში გაუმაგრა და ღოჯების წვერები დედამიწის ზემოდან ამოაყოფინა. ისე ამწვანდა მთელი ნათესი, ისე დაიწყო ბიბინი თითქო მწვანე ხავერდით მოუფენიათ იქაურობაო. თამროს მოხუცებულ ბაბის გულმა ვეღარ გასძლო ნათესის უნახაობა და ჯოხ-დაბჯენილმა ნელი ნაბიჯით გასწია მინდვრისკენ, თამროც აედევნა თან ბაბას; აგერ მივიდენ კიდეც ჯეჯილთან. ბაბა გიგოლა შეჩერდა; ბირჯვარი გამოისახა და სიამოვნებით დაუწყო ცქერა აბიბინებულ ჯეჯილს.

— გმადლობ შენ, უფალო, რომ მუდამ მფარველი ხარ შენგანვე გაჩენილი ხალხისა და შენს მოწყალებას არ გვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლებ, რომლის ნახევარსაც ღირსნი არა ვართ! წარმოთქვა იმან.

თამრო გაშტერებით უცქერდა ხან ბაბას და ხან ჯეჯილს და ვერ წარმოედგინა, თუ რას ნიშნავდა ბაბის სიამოვნება.

— ბაბი, დედამ მითხლა, ბევლი ბაბა მოგვივაო! აბა სად ალის ბაბაი?—დაეკითხა მოხუცს თამრო.

— აი, შვილო, ეს მალე ბაბათ იქცევა სულა! მიუგო ბაბამ და მიუთითა ჯეჯილზე.

— ეს ბალახი ალ ალის მელე! განაგრძო თამრომ.

— ჰო, შვილო, ბალახია, მაგრამ ისეთი ბალახია, რომელიც ეანათ გაიზრდება და ეანიდან ხომ ბურის მარცვალი მოგვივა და მერე დავფქვავთ და ბაბასაც გამოვაცხობთ.

თამრო გაჩუმდა. მას, რასაკვირველია, ვერ წარმოედგინა, თუ როგორ გადიქცეოდა ეს ბალახი „ბაბათ", მაგრამ უცებ მოაგონდა დედის ნათქვამი—კვეკვერას გამოგიცხობო და ეს კი საკმაო იეო, რომ ბავში აღტაცებაში მოსულიეო.

— დედაი კვეკველას გამომიცხობს! დაიძახა სიხარულით თამრომ, შემოჭკრა ბაწაწა ხელებით ტაში და დაიწეო ხტუნაობა ჯეჯილში.

— ნუ, შვილო, ჯეჯილს რათა ჭქელავ, გენაცვალოს ბაბაი, უთხრა მოხუცმა, განა გინდა რომ ადარა მოგვივი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეს რა? ხომ ფუფალა გაჯავრდება ჯეჯილის გაფუჭებისათვის? ეს სიტყვები საკმაო იყო, რომ თამრო ჯეჯილს მოშორებოდა; მას თუმცა ძრიელ უნდოდა მწვანე ბალახში გაგორება, მაგრამ ვეღარ გაბედა და ახლა, ბაბის ჩოხაზე ხელ მოკიდებული, სიამოვნებით შესცქეროდა აბიბინებულ მინდორს.

ბაბა და თამრო რომ შინისკენ გამობრუნდენ, მოხუცს მოაგონდა, რომ ბავში დატუქსა ჯეჯილში სირბილისათვის და გული დაეთუთქა, რომ გული გაემხიარულებინა თამროსათვის, ჰკითხა:

— აბა, მითხარი, თამრიკო, ვინ იყო, რომ ბოლო მუჯა ხორბალი ჩაუყარა მამას კალთაში?

— მე, ბაბილო! მიუგო სიხარულით გაწითლებულმა ბავშმა და მოეხვია ბაბას მუხლებზე.

— ჰო, და, კიდეც იმიტომ არის კაი ჯეჯილი, რომ კარგი გოგონა მეევხარ და ბედნიერი ხელიცა გაქვს, ჩემო ცუგრუმელა! უთხრა მოხუცმა, აიყვანა ხელში და დაუწყო კოცნა, რის სამაგიერო ყელზე შემოხვეულმა თამრომ კოცნითვე გადაუხადა...

გავიდა შემოდგომაც და დაიწყო ზამთარი; ტყე და მინდორი სულ გათეთრდა თოვლისაგან. სხვა ბავშებთან ერთათ მიტრომ და ბესომ თამროც წაიყვანეს თოვლზე საციგაოთ, მაგრამ ამ უკანასკნელმა რომ თავიანთი ჯეჯილი ვეღარ დაინახა, ტირილით გამოიქცა სახლისაკენ და, მისვლის უმალ, გულ ამოჯდარი, მივარდა დედას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშის დედ-მამას და პაპას ძალიან შეეშინდათ, თამრო რომ მტირალი დაინახეს და დაუწყეს გამოკითხვა, თუ ვინ ატირა. მან დიდხანს ვერა უთხრარა მშობლებს და ბოლოს, როდესაც ცოტა გული დაიმშვიდა დედის გულში ხელებ ჩაუოფილმა, ნამტირალევი ხმით წარმოთქვა!

— ჩვენი ჯეჯილი აღარ ალის და ზედ სულ თეთლი თოვლი დაუდვიაო!..

ამ სიტუვებზე, რასაკვირველია, ეველას გაეცინა და პაპამ უთხრა ალერსით:

— არა, ჩემო გვრიტო, ნუ გეშინიან! ეგ თოვლი უფრო კარგ უანას გაგვიზდის და ბევრი პურიც გვექნება. თოვლქვეშ ჩვენი ჯეჯილი მხოლოთ დაიძინებს და გაზაფხულზე კი, როცა თოვლი აღარ იქნება, ჯეჯილიც ისევ გაიღვიძებს, ღმერთი მოწუალეა, შვილო, და კვეკვერებიც ბევრი გექნება.

პაპას არას დროს არ მოუტეუებია თამრო და ამიტომ ახლაც იმის სიტუვები დაიჯერა. თუმცა კი ვერ მოესაზრა — ცივ თოვლს როგორ გადარჩებოდა ჯეჯილი, მაგრამ მაინც დარწმუნებული იუო, რომ ეველა ისე მოხდებოდა როგორც პაპამ უთხრა და კვეკვერებიც ბევრი ექნებოდა, ასეც მოხდა; მართალი თქვა პაპამ, — ჯეჯილს მხოლოთ ემინა სქელ თოვლ ქვეშ და გაზაფხულზე, როცა თოვლი აიღო, ჯეჯილმაც გაიღვიძა და დაიწეო მწვანეთ ბიბინი და ზრდა.

ლუარსაბ ციციშვილი.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი თეზეოსი.

(ფრანგულიდან).

VII.

ემ ამ გვარ მამაცურ ბაქიაობას ის შედეგი მოჰყვა, რომ იაკობის მეგობრობა ჩემ მიერ გაგრილდა. ნეტაი თუ შურდა მას? არა მგონია; ფრანგებმა შური არ იციან, მეტადრე თუ სიმამაცეს შეეხება. იმას ტუჩებზე დაცინვის ღიმილი ეკერა და ეს ღიმილი საშინლათ მაბრაზებდა. უნდა გამოგიტყდეთ, ჩვენში კი დარჩეს ეს, რომ ჩემი ისეთი გადაწყვეტილი აზრი მინოტაერის შესახებ ძალიან მაწუხებდა; რა საშინელება რამ უნდა იყოს, დიდებულო ღმერთო?! საშიშარი გოლიათი სახლზე უმაღლესი ანუ დამ'მეული კაცი მჭამელა, რომელიც ბავშებს ეტანება, როგორც ზოგიერთ ზღაპრებშია ხოლმე ნაამბობი! შიშით ეკანკალებდი, როდესაც ჩემი დაუფიქრებელი სიტყვები მაგონდებოდა! განა ახლა შეიძლებოდა უკან დახევა და ამ გმირული სახელის შეურაცხყოფა..? ოჰ! რა ბედნიერი ვიქნებოდი რომ ახლა ათინაში ამომეყო თავი მამიდა ევენტისთან, რომელიც თავისთვის მოსვენებული ჩულქსა ჰქსოვდა და აზრათ არ მოსდიოდა საწყალს, რომ მე ასეთ საშინელ და საშიშარ განსაცდელში ვიყავი.

ოცდა თექვსმეტი საათი იყო გასული რაც პირეიდან გამოვედით და პატარა კუნძულს დიას მოვუახლოვდით; ეს კუნძული კრიტის პირდაპირ არის და იქ გემები იმიტომ ჩერდებიან, რომ სიმრთელის მოწმობა მიიღონ, რომ გემზე გადამდებ-სენით არავინ არის ავათ, და თავისუფლათ შეეიდენ ნავთსადგურში.

მე გაშტერებული შევცქეროდი კრიტის უზარმაზარ მთებს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორაკებს. ამ უზარმაზარმა მოშავე-მოლურჯო, მცენარეებს მოკლებულ-მა ტიტველმა მთებმა ძალიან ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე და როდესაც რუდას მოვედით (ნავთსადგური, სადაც ჩვენი გემი უნდა დამ-დგარიყო) უფრო უარეს გუნებაზე დავდექი. სოფლები მთის ფერ-დობებზე იყო გაფანტული, აქა-იქ მინარეტები მოჩანდა, ჩვენ სათა-თრეთში ვიყავით, იმ შემავიწროებელ და ბარბაროს ხალხთან, რო-მლებიც ბერძნებს ისე საშინლად სძულთ.

ფარჟო მინოტაერის შესახებ ლაპარაკს შემდეგ ახლოს არ მო-მკარებია და ხმა არ გაუცია ჩემთვის, ახლა-კი მომიახლოვდა და მი-მითითა ერთ პატარა ნავზე, რომელზედაც სამფერი ბაირაღი იყო აშვებული და მითხრა:

— აი მამა ჩემი მოდის ჩვენ წასაყვანათ, გეხვეწები, თეზეოს, გუშინდელი ჩვენი ბაასის შესახებ ხმა არ ამოიღო და არ უამბო, დაივიწყე ყველაფერი, დაცინვითაც თუ იყო რამე ნათქვამი.

— არა, არა, მე სრულებითაც არ მინდა რომ მშიშრობა დამ-წამონ, მეტადრე საფრანგეთის კონსულმა. მე მაინც კიდევ გუშინ-დელ აზრს ვადგივარ და ერთი წუთითაც უკან არ დამიხევია: მი-ნოტაერი უთუოთ იმ გემის სკამს ქვეშ უნდა იყოს დამალული, რომლითაც მე უკან დავბრუნდები.

მე მომეჩვენა, რომ თითქოს იაკობმა მხრები აიწია, მაგრამ ყუ-რადღება არ მივაქციე და წავედი ჩემი ბარგის მოსატანათ. როცა დავბრუნდი, იაკობი გემის მოაჯირთან იდგა და მხიარულათ თავის ცხვირსახოცს იქნევდა. კონსულის თეთრი კოპწია ნავი ჩქარა მოჰქრო-და ჩვენკენ. უკან ერთი მაღალ ქუდიანი კაცი იჯდა, ერთი კოხტათ მორთული ქალი, ერთი ყმაწვილი კაცი და ერთიც პატარა ქალი. წინ ჩანდენ ოთხი მენიჩბე, რომლებიც გაჩქარებული ნიჩაბს უსვამდენ რომ გემთან ახლო მოსულიყვენ.

იაკობი უსაზღვროთ ბედნიერი იყო. თავის დედ-მამა რომ დაი-ნახა, საჩქაროთ ჩამოირბინა ვიწრო კიბე, რომელიც გემს მიაბეს ნაპირზე გადმოსასვლელათ, გადაჰკოცნა სათითაოთ დედა, მამა, თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეისი საყვარელი პატარა და, რომელიც ხელში აიყვანა და თან ყველას შეელოდა ნაპირზე გადმოსვლას. მოწიწებით ხელი ჩამოართვა ყმაწვილ კაცს, რომელიც იმის დედ-მამას ახლდა. ბოლოს მიიხედ-მოიხედა და რაკი ნახა რომ მე ვაკლდი საყვარელ და სასურველ ჯგუფს, დამიძახა სიხარულისაგან აკანკალებული ხმით, მაღლა ასწია თავის ჩასუქებული ვარდის ფერათ აყვავებული პატარა და, და მითხრა.

— უყურე, თეზეოს, რა ლამაზია ჩემი პატარა მარგალიტა! თუმცა ერთი წელიწადია რაც არ უნახივარ, მაგრამ მაინც მიცნო... ჯერ კიდევ ძალიან პატარაა, სულ სამი წლისაა.

— კეთილი იყოს შენი მობრძანება, ბატონო აგაპიმენონ, მითხრა წამოსადეგმა და ზრდილობიანმა კონსულმა და მეგობრულათ ხელი ჩამოართვა; ჩვენი იაკობის მეგობარი ჩვენი მეორე ვაჟიშვილი იქნება.

მე რაღაც წავიბუტბუტე ჩემი დამტვრეული ფრანგული ენით, ქალბატონმა ფარჟომ, რომელმაც ჩემი სამშობლო ენა შეენიერათ იცოდა, ხელი მომკიდა და ალერსიანათ მითხრა:

— იმედი მაქვს რომ მხიარულათ და სასიამოვნოთ გაატარებთ დროს ჩვენსა. შეენიერი სასეირნო და სასიარულო ადგილებია ამ ჩვენ კუნძულზე; აი აქ ერთი შესანიშნავი ლაბირინტია (მიხვეულ-მოხვეული გზა).

ამ ლაბირინტის ხსენებაზე ტანში გამაზრიალა; ეს უთუოთ ის ადგილია, საცა მინოტავრი ცხოვრობს,—გავიფიქრე მე.

— მე დარწმუნებული ვარ, ეუპასუხე მე, როდესაც გონება მოეიკრიფე, რომ თქვენ შორის დრო სასიამოვნოთ და მალე გაირბენს. ძალიან უნდა უყვარდეს კაცს მეგობარი, რომ ამოდენა დაღალულობა აიტანოს და ამ სიშორე მგზავრობა შესძლოს.

— მეც ისე მოგიელით როგორც მამიდა თქვენი, განაგრძო ქალბ. ფარჟომ, იმან თქვენ შესახებ გრძელი წერილი და დარიგება მომწერა, ისა მწერს რომ, როცა დაიღალებით და ოფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი მოგიეათ, უთუოთ თბილი პერანგი უნდა გამოიცვალოთ და თბილი მუცლის შესაკრავი იხმაროთ, მეტადრე როცა ნამიანი დღეა, ყოველ ღამ თითო ჭიქა გასამაგრებელი შარბათი უნდა დალიოთ და დილაობით თითო ჭიქა რძე, პატარა თეთრი პურით; არა, ბატონო, თეზეოს, ეს არ არის თქვენი ჩვეულება? ჰო! მართლა კინაღამ დამავიწყდა, რომ დაწოლის დროს ყბები აიკრათ და ყურში ზეთში ამოვლებული ბამბა დაიცოთ, მეტადრე როდესაც კბილები გტკივათ...

უნდა გამოგიტყდეთ, რომ დიდათ შეურაცხყოფილი და გულნატკენი ვიყავი, რომ ეს შვენიერი კოპწია ფრანგის ქალი ქალბ. ფარჟო, ისე მექცეოდა, როგორც განებივრებულ პატარა ბავშს; მე, თეზეოსს, მომავალ კრიტის მსხვერპლს! მე იმის სიტყვებზე მწარეთ გავიღიმე და პირობა მივეცი გუნებაში ჩემ თავს, რომ კონსულის მეუღლესთვის გამეცრუებინა ჩემ ჩვეულებებზე ის აზრი, რომელიც პატარა ბავშის შესაფერი უფრო იყო, ვიდრე თორმეტი წლის ყმაწვილის. თორმეტი წლის ყმაწვილს თავისი თავი დიდ ვინმეთ მიაჩნია!

— თქვენ ერთობ კეთილი ბრძანდებით, ქალბატონო, ეუპასუხე მე, მამიდა ევენტიმ გადაჭარბება იცის ხოლმე, მე თქვენი კეთილი განწყობილების მეტს არაფერს არ ვსაჭიროებ.

ამ დროს გემის უფროსი მოგვიახლოვდა, გამოკვემშვიდობა და ჩვენც ნავში გადავსხედით; ის ოფიცერი, რომელმაც ისე დაცინვით მომიხსენია კიბეზე იდგა და დაცინვით გადმომძახა:

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს, ბატონო აგაპიმენონ, თქვენ მიდიხართ იმ ქვეყანაში, სადაც მტერი ბუდობს და სადაც თქვენგან ხსნას მოელიან.

— მალე ჩემ ამბავს შეიტყობთ, ეუპასუხე მეც გაჯავრებით.

VIII.

სწორე გითხრათ, ძალიან გამიკვირდა როდესაც კანდიის მცხოვრებლები გავიცანი. ისეთი საშინელი დევ-გმირი ბუდობდა იმათ მახლობლათ და ისინი კი ისე მოსვენებული და დამშვიდებული მუშაობდენ. მეთულუხჩე ნელ-ნელა ამსებდა თავის რუმბს წყლით

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მუშტრებთან ეზიდებოდა. მერძეევე თავისი თიხის ქოთნით ქუ-ჩა-ქუჩა დადიოდა: „კაი რძეე... დილის რძეო!“ გაჰკიოდა. მეთევზე-ები თავზე თაფხებით ცოცხალ თევზს და ფიჩხულსა ჰყიდდენ.

ოსმალოს დალერემილნი სალდათებიც კი დავინახე. თუმცა გახეხილი ტანისამოსი ეცვათ და ტიტველა ფეხებზე წულები წამო-ცმული ჰქონდათ, მაგრამ სუფთათ კი იყვენ. თავიანთი რჯულის წესით დღეში შვიდჯერ ნამაზს იკეთებდენ (ტანს იბანდენ). სწო-რე გითხრათ მე ძალიან შემაწუხებდა და შემავიწროებდა იმდენი ბანვა, ჩემ გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც თათრის დედაკაცები მოჩვენებასავით, თავიდან ფეხებამდის თეთრ ჩადრში გა-მოხვეულები, დავინახე. სულ ყველაფერი ჩემთვის ახალი და გასა-კვირველი იყო და კანდის ნავთ-სადგურის ზნე-ჩვეულებები იმიტომ მეინტერესებოდა, რომ ჩვენ ჩვეულებებისაგან ბევრათ განირჩეოდა. ის ღამე ჩვენ ერთ მდიდარ სომხის ვაჭრის სახლში უნდა გაგვეთე-ნებინა და მეორე დღეს კანადაში გავმგზავრებულვიყავით.

ვახშამზე ყველაფერი არეული იყო: შაქრის პური, ხორ-ცი, ხილი, ტკბილეულობა, თევზი, შარბათი და ფლავი. მე და იაკობი შეგვიყვანეს ერთ დიდ ოთახში, რომლის იატაკზე, აღმო-სავლეთის ჩვეულებისამებრ, ორი ლოგინი იყო გაშლილი. ქალბ. ფარჟოს ბალიშის ქვეშ ამოედვა ყბის ასახვევი და ჭიქით გასამაგრე-ბელი შარბათი დაედგა. ამ დედობრივმა მზრუნველობამ კინალამ ცრემლი მომგვარა, მაგრამ სიამაყემ უცბათ გამიშრო თვალები: აბა რას იტყვით, მკითხველებო, იმ გმირზე, რომელიც ყოველ დღე თი-თო ჭიქა წამალს სვამს ჯანის გასამაგრებლათ. ის კი ნუ გგონიათ რომ ეს სასმელი უგემური ან უსიამოვნო იყოს, მაგრამ ბევრათ განირჩევა იმ ნექტარისაგან, რომლითაც მეფე თეზეოსი ყელს ისვე-ლებდა ხოლმე. ფარჟომ დაიჩოქა და დაწოლის წინათ ილოცა, მე ფეხზე წამოვდექი, მართლ-მადიდებელ ბერძნულ სარწმუნოების წე-სისამებრ, სამჯერ პირჯვარი გამოვისახე, შვენიერ რბილ ლოგინ-ში ჩავწექი და იაკობთან გამოსალმების უმალვე ჩამეძინა.

ეჭ. მ — სხ.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედამიწა.

(მოზრდილ უმაწვილებისთვის)

ბოპერნიკის შემდეგ საუკეთესო ასტრონომები იყვენ კეპლერი და იტალიელი გალილეი. გალილეომ სხვათა შორის მოიგონა ტელესკოპი, რომელიც გამადიდებელი შუშების შემწეობით ცის მნათობებს ძალიან აახლოებს და ადიდებს. ტელესკოპმა ასტრონომიას დიდი სამსახური გაუწია: იმის შემწეობით შესაძლებელი გახდა ისეთი ვარსკვლავების დანახვა, რომლებიც სიშორის გამო თვალით ვერ დაინახებოდენ, მთვარის შესწავლა, მთიების (პლანეტების) და სხვ. ტელესკოპის გამოგონების შემდეგ დაიბადენ ორი შესანიშნავი ნიჭის ასტრონომები: ინგლისელი ნიუტონი და ფრანგი ლაპლასი. ამ ორი გენიოსისა და სხვა მკვლევარების შრომით ასტრონომია დღეს კარგათ გამოკვლეული და საყურაღღებო მეცნიერება არის. ასტრონომია იკვლევს და სწავლობს სამყაროს. სამყარო ჰქვიან დედამიწას და ყოველისფერს, რასაც ჩვენ ცაზე ვხედავთ: მთვარეს, მზეს, ვარსკვლავებს და სხვ. ყველაზე უფრო გამოკვლეულია ასტრონომიაში მზე და ის მთიებნი, რომლებიც მზის გარშემო ტრიალებენ. მზეს და ყველა მის მთიებთა ერთათ ჰქვიან მზის სისტემა; დედამიწაც ერთი მთიებთაგანია; ქართულათ მთიებს ჰქვიან აგრეთვე ცთომილი. ჩვენ ვცხოვრებთ დედამიწაზე, ის ატარებს ჩვენ ბედს, ჩვენ უბედობას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა ცოცხალებზე ის უფრო ძვირფასია ჩვენთვის; ამიტომ მისი შესწავლაც უმალ უნდა დაიწყოთ.

დედამიწა არის რგვალი ისე როგორც ბურთი. თუმცა ჩვენ თვალებს დედამიწა სრულიადაც არ ეჩვენება ბურთივით, მაგრამ დედამიწა იმხელა არის და ჩვენ ისეთი მცირე მასთან შედარებით, რომ მისი სიმრგვლის თვალით დანახვა არ შეგვიძლია. შეხედეთ ცას: მთვარე, მზე, ვარსკვლავები—ყველა ბურთივით რგვალია; დედამიწაც სამყაროს ერთი წევრია: რალა მარტო ის გამოვიდოდა მახინჯი? მოგზაურები წასულან, უვლიათ სულ ერთი მხრისაკენ და რამდენსამე ხანს შემდეგ ისევ იმ ალაგას მოსულან, საიდანაც წავიდენ; ეს კი შეუძლებელი იქნებოდა, დედამიწა რომ რგვალი არ ყოფილიყო. ამას გარდა ბევრი მოვლენა არის დედამიწაზე, რაც მის სიმრგვალეს ამტკიცებს. თუმცა დედამიწაზე დიდი და მაღალი მთებია, მაგრამ ისინი მის გარეგან მოყვანილობას ვერ ცვლიან: დიდ საზამთროში რომ პატარა კენჭები ჩაასოთ, საზამთრო მაინც რგვალი დარჩება. სულ მაღალი მთა კი დედამიწასთან შედარებით გაცილებით პატარა ჩანს, ვიდრე კენჭი საზამთროზე.

ხალხს რომ ჰკითხო, გეტყვის: დედამიწა გველეშაპს უკავიაო. ეს, რასაკვირველია, სიცრუეა. დედამიწა არაფერს არ უკავია; ის თავისუფლათ დაცურავს ცის სივრცეში. ბევრმა იქნება იფიქროს: ამოდენა ბურთი რატომ არსად ვარდება, რა აჩერებსო? დედამიწაზე თუ თითქმის ყოველისფერი ძირს ვარდება, იმიტომ რომ დედამიწა იზიდავს. ჩვენ რომ დედამიწა არ გვიზიდავდეს, ქარი მოგვიტაცებდა, არავითარი სიმძიმე არ გვექნებოდა და, ჰაერის რა ალაგასაც გვენებებოდა, იმ ალაგას გაეჩერდებოდით თავისუფლათ, ჰაერში ისე დაიწყებდით სიარულს, როგორც ახლა მიწაზე დავდივართ, დედამიწასაც იზიდავენ მზე, მთვარე, ვარსკვლავები, ცოცხალები. მარტო მზე რომ იზიდავდეს დედამიწას, ის, შეიძლება, მზეზე დაცემულიყო, ისე როგორც ხიდან მოწყვეტილი ვაშლი ეცემა დედამიწაზე, მაგრამ ყველა მნათობები თავისაკენ იზიდავენ დედამიწას; ეს მნათობები ძალიან შორს

ეროვნული ბიბლიოთეკა

არიან; ამიტომ დედამიწა არც ერთზე არ ეცემა და მათი მიმზიდველობა მას მხოლოთ მზის გარშემო ატრიალებს. ის ლურჯი ცა, რომელსაც ჩვენ მაღლა ვხედავთ, ნამდვილათ არ არსებობს; მხოლოთ ჩვენ თვალს ეჩვენება ასე, რადგანაც დედამიწას გარშემო აკრავს ჰაერი. ჰაერი ძირს უფრო სქელია, მაღლა თანდათან თხელდება და ას ვერსზე ზემოთ აღარ არის. ამ ასი ვერსის სიმაღლე ჰაერს, რომელიც დედამიწას გარშემო არტყია, ჰქვიან ატმოსფერა. ჭიქაში რომ ზღვის წყალი ჩაასხა, სრულებით უფერულია. ზღვას კი რომ დეჩერებიხარ, წყალი წამწვანო გეჩვენება, თითქო შიგ ლილა გაუხსნიათო; ეს იმიტომ, რომ ზღვა ღრმა არის. ჩვენ თუ დედამიწის ზვეით ლურჯი ცა გვეჩვენება, ეს იმიტომ რომ ჰაერის სიმაღლე ასი ვერსია; ამ სიმაღლის გამო უფერული ჰაერი ლურჯათ მოჩანს და ასე გვგონია, მაღლა ცა არისო. ნამდვილათ კი არავითარი ცა არ არსებობს. დედამიწა რგვალია, მაზე ხალხი ცხოვრებს, მაგრამ არავინ არ ვარდება დედამიწიდან სივრცეში, იმიტომ რომ ყოველისფერს, რაც კი ჩვენ გარშემო არსებობს, დედამიწა იზიდავს; ამ მიმზიდველობას ჩვენ ვეძახით სიმძიმეს. დედამიწის ზოგიერთი ალაგი მეტით იზიდავს, ზოგი ნაკლებათ; ამიტომ ერთი და იგივე წონის ნივთი რომ სხვა და სხვა, ძალიან დაშორებულ ალაგებზე ასწონოთ, ერთგან უფრო მჩატე მოვა, მეორეგან უფრო მძიმე. ზოგი იფიქრებს: თუ დედამიწა რგვალია, ზოგან ხალხი თავდაყირა უნდა დადიოდეს, რადგანაც თავი ძირს ექნება, ფეხები მაღლაო, მაგრამ ეს შემცდარი აზრია. დედამიწას გარშემო არტყია ჰაერი, ანუ, ჩვეულებრივი ენით, ცა. „მაღლა"-არის ცისკენ, „ძირს"-დედამიწისაკენ; როცა ადამიანი მიწაზე დადის, თავი აქვს ცისკენ ანუ მაღლა, ფეხები დედამიწისაკენ ანუ ძირს, დედამიწა რადგანაც რგვალია, რა ალაგასაც უნდა იყოს ადამიანი, ფეხები ყოველთვის ძირს ექნება, თავი ყოველთვის ცისკენ ე. ი. მაღლა, ამიტომაც თავდაყირა არავინ არ დადის.

მზე დილით ამოდის აღმოსავლეთისაკენ და ჩვენ ასე გვგონია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითომც ის დედამიწასთან ძალიან ახლოს იყოს; შემდეგ მზე თითქოს თანდათან შორდება დედამიწას, მიდის მაღლა-მაღლა, და ნაშუადღევს ისევ დაეშვება, მიუახლოვდება თითქოს დედამიწას და ჩავა; ერთი სიტყვით ჩვენ გვგონია, ვითომც მზე დედამიწას გარშემო უტრიალებდეს. მთვარეც მზესავით ამოდის აღმოსავლეთით, გადიელის ცას და ჩადის დასავლეთით. თუ ვარსკვლავებს დაუკვირდებით, შენიშნავთ, რომ ისინიც ასე მოძრაობენ; ხოლო კი არ ამოდიან და ჩადიან, [1]) არამედ ცაზე წრეს აკეთებენ, თითქოს კალოს გარშემო უვლიანო. ყოველივე ამის მიხედვით უწინდელ დროში საუკეთესო მეცნიერებიც კი იყვენ, რომ ეგონათ, მთელი ცა თავისი ვარსკვლავებით, მზით და მთვარით დედამიწას უტრიალებსო გარშემო, მაგრამ ბოლოს აღმოჩნდა, რომ ცა კი არ უტრიალებს დედამიწას, არამედ დედამიწა ტრიალებს თავის გარშემო, ისე როგორც ბზრიალა. ამგვარათ დედამიწა ტრიალებს თავის გარშემო და ამავე დროს მზეს უვლის კიდევ გარს. ეს რომ კოპერნიკმა გამოაცხადა, ყველამ გიჟათ ჩათვალა, ყველა გაიძახოდა: დედამიწა რომ თავის გარშემო ტრიალებდეს, მაშინ ქალაქებიც, სახლებიც ხეებიც უნდა ტრიალებდენო, ამას კი ვერავინ ვერ ეხედავთო. როდესაც მატარებელი სწორ გზაზე სწრაფათ მირბის და არ ირყევა, ხშირათ გგონიათ, მატარებელი გაჩერებულიაო. ყოველივე რაც ვაგონშია: ხალხი, სკამები ავეჯები, ყველა მირბიან, მაგრამ თქვენ ამას ვერ ამჩნევთ, რადგანაც თქვენც მათთან ერთათ მირბიხართ. დედამიწაზედაც თუ ჩვენ ვერ ვამჩნევთ სხვა და სხვა საგნების ტრიალს, იმიტომ რომ ჩვენც მათთან ერთათ ვტრიალებთ. როდესაც მატარებელი მირბის, მაშინ რომ ფანჯარაში გაიხედოთ, ასე გეგონებათ, თითქოს მატარებელი კი არა, მინდორი, ხეები და სახლები ტრიალებდენ და გარბოდენ: ყოველისფერი უახლოვდება მატარებელს, სწრაფათ გაირბენს თქვენ თვალწინ და გაქრება. მაგრამ თქვენ მათ რბენას არ უჯერებთ, გონება გეუბნებათ,

[1]) ზოგი ვარსკვლავი კი ამოდის და ჩადის, როგორც მზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მატარებელი გარბის მხოლოთ და თვალს კი ეჩვენება, თითქოს მინდორი და ხეები გარბოდენ. ცის ტრიალიც ასეთივე თვალის მოტყუებაა. დედამიწა ტრიალებს თავის გარშემო; რადგანაც დედამიწა ძალიან დიდია, ამ ტრიალის დროს ჩვენ და ყოველივე, რაც ჩვენ გარშემოა მიწაზე, გარბის; ჩვენ კი გვკონია, ვითომ მზე და ვაესკვლავები გარბოდენ და დედამიწას გარშემო უვლიდენ. თავის გარშემო ერთხელ შემოტრიალებას დედამიწა ანდომებს ოცდა ოთხ საათს. დღე და ღამე თუ ერთი მეორეს ცვლიან, ეს დედამიწის ტრიალის ბრალია. დედამიწა თავის გარშემო ტრიალის დროს ხან ერთ მხარეს მიაქცევს მზეს, ხან მეორეს, ამიტომაც ხან დღე არის, როცა მზისკენ, ვართ, ხან ღამე. აქედან ცხადია, რომ, როცა ერთ ალაგას დღე არისა სხვა ალაგებში დედამიწის მეორე მხარეს ღამეა, რადგანაც ერთსა და იმავედროს მზეს არ შეუძლია მთელი დედამიწა გაანათოს. მოაბით ბურთს ძაფი და სანთლის წინ ატრიალეთ, ბურთზე პატარა ქაღალდი მიაკარით; მაშინ დაინახავთ, რომ ეს ქაღალდი ხან სანთლისაკენ იქნება, ხან არა.

ამგვარათ ერთ დღე და ღამეს ანდომებს დედამიწა თავის ღერძზე შემოტრიალებას; მაგრამ ის ამავე დროს უვლის მზეს გარშემო და ამ გზას ანდომებს ერთ წელიწადს. რადგანაც წელიწადი შედგება 365 დღე-ღამისაგან, ამიტომ მზის გარშემო ერთხელ შემოტრიალების დროს დედამიწა 365-ჯერ შემოტრიალდება ხოლმე. იმ წრეს, რომელსაც დედამიწა მზის გარშემო აევლებს, ჰქვია დედამიწის ორბიტა. გამოანგარიშებულია, რომ მზესა და დედამიწას შუა არის 140 მილიონი ვერსის მანძილი, ამ ციფრის წყალობით შეგვიძლია გამოვიანგარიშოთ დედამიწის ორბიტაც ე. ი იმ გზის რაოდენობა, რომელსაც დედამიწა გაივლის მზის გარშემო ერთხელ შემოტრიალებით; გამოანგარიშებულია, რომ ეს გზა უდრის 880 (რვაას ოთხმოცს) მილიონ ვერსს. რვაას ოთხმოცს მილიონ ვერსს გაირბენს დედამიწა 365 დღის განმავლობაში. რომ გავიგოთ, ერთ დღე და ღამეს რამდენს გაივლის, 880 მილიონი უნდა გავყოთ 365-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათ; რაც დარჩება, ის რომ ოცდა ოთხათ გაეყოთ, გაეიგებთ, რამ-ხელა გზას გადის დედამიწა ერთი საათის განმაელობაში. ამგვარათ მიეიღებთ, რომ დედამიწა ერთი საათის განმაელობაში გარბის ოთხ-მოცდა ცხრამეტი ათას ვერსს, ერთ წამში კი სამოცჯერ ნაკლებს ე. ი. ათას ექვსას ორმოცდა ათ ვერსს (1650). აი, როგორი სისწრა-ფით მირბის დიდამიწა ცის სიერცეში და ჩვენც თან მიგვარბეევინებს! თუ ამ სისწრაფეს ჩვენ ვერ ვამჩნევეთ, იმიტომ რომ ყოველიეე, რაც კი ჩვენ გარშემოა დედამიწაზე, ჩვენთან ერთათ მიჰყვება დე-დამიწას: ხშირათ, როცა მატარებელი ჩქარა გარბის და არ ტოკავს, შიგ მჯდომს ჰგონია, თითქოს მატარებელი გაჩერებული არისო. მზე დედამიწას აძლევს სინათლეს და სითბოს. დედამიწის ზოგი ალაგი უფრო თბილია, ზოგი უფრო გრილი, ზოგან ციეა,-ყოვე-ლიეე ამის მიზეზი ის არის, რომ დედამიწა რგვალია, და ამიტომ მის ზედაპირზე ზოგან მეტი სხიეი ეცემა მზისა, ზოგან ნაკლები, რომელ ალაგასაც მეტი სხიეი მოუდის, ის რასაკვირველია, უფრო თბილიც იქნება. მაგრამ ერთსა და იმავე ალაგას წლის განმაელობაში სითბო იცვლება. მაგალითათ ჩვენში და უმეტეს ალაგას ოთხი დრო იცის: გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი. რა არის ამის მი-ზეზი?. რატომ სულ ერთი დრო არ არის ხოლმე მთელი წლის გა-ნმაელობეში? ასტრონომები ამასაც დედამიწის ტრიალით ხსნიან, მაგრამ ეს ახსნა პატარა მკითხველისათვის ძნელი გასაგებია და ამი-ტომ ისეე იმ დროამდის უნდა გადაედვათ, სანამ „ჯეჯილის“ პატარა მკითხველი არ წამოიზრდება.

დედამიწის სამი მეოთხედი ზღვას უკავია და მხოლოთ ერთი მეოთხედი ხმელეთს.

ვანო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველი საბერძნეთი.

(ზღაპრული ამბავი).

(თარგმანი)

ოდისეის ფეაკებთან ყოფნა.

მ კუნძულს, რომელსაც ოდისეი მიადგა, სქერია ერქვა. იქ მდიდარი ეაჭარი ხალხი, ფეაკები ცხოვრობდენ. ფეაკებს ცამეტი მფლობელი განაგებდა. იმათში ალკინი ყველაზე უფროსი იყო: იგი სარდლობდა საერთო ჯარს; იყო უფროსი მსაჯული და უფროსი ქურუმი. ყველა მცხოვრებლების მაგიერათ ის სწირაედა ღმერთებს მსხვერპლს. ალკინოს ბაზილეეს (მეფეს) უძახდენ, დანარჩენებს კი ერისთაველებს (თავადებს). ხალხს ალკინო ძლიერ უყვარდა და დიდ პატივსა სცემდა. მის ცოლ არეტას, როგორც ოჯახში ისე ქალაქშიაც, სიყვარული და პატივი ჰქონდა დამსახურებული. ფეაკები როგორც ღვთაებას ისე უყურებდენ. ქალაქში რომ გაიელიდა, ხალხი ტაშის კვრით ეგებებოდა. ხშირათ მამაკაცები დავის გადასაწყვეტათ იმას მოიწვევდენ ხოლმე. მეფე ალკინო და თავადები მაგარ კედლებით გარ შემორტყმულ ქალაქში ცხოვრობდენ. ზღვიდან ქალაქის მისადგომი საუცხოო ნავთ-საყუდელს წარმოადგენდა. იქ მუდამ მრავალი ხომალდი იყო გაჩერებული.—ნაპირზე დიდი საეჭვო მეიდანი იყო. შუა მეიდანზე პოსეიდონის სადიდებლათ ამართული იყო დიდი ტაძარი.—მეიდანს გარს დიდრონი შენობები ჰქონდა შემორტყმული, იმათში მრავალი სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხომალდო იარაღები ინახებოდა: იალქნები, ნიჩბები, ბაგირები (მსხვილი თოკები) და სხვ. ქალაქს გარს ველ-მინდორი და ვენახები ერტყა—ქალაქის შენობებში ყველაზე შესანიშნავი მეფე ალკინოს სასახლე იყო. დიდი და განიერი კარები ოთხკუთხ ეზოში შედიოდა. ეზო ირგვლივ მრავალი შენობებით იყო შემოზღუდული: იქ იყო მონების სახლი, საკუჭნაოები, აბანოები, წისქვილები, თაღლები, აქვე იყო სასტუმრო ოთახებიც. შუა ეზოში ზევსის სამსხვერპლო იყო ამართული. ამ ეზოდან განიერი ტალანით შედიოდენ სამამაკაცო დარბაზში—„სანადიმო დარბაზში". დარბაზს მდიდრულათ მორთული კარები ჰქონდა; წმინდა (ხალასი) ოქროსაგან იყვენ ჩამოსხმული და ვერცხლის კოჭაკებზე ეკიდენ. ზღრუბელი თითბრისა იყო. კარების აქეთ-იქით ორი ძაღლი იდგა—ერთი ოქროსი, მეორე—ვერცხლისა. დარბაზის კედლებს თითბერი ჰქონდა გაკრული. კედლებთან გამართული იყო ძვირფასი ქსოვილებით დაფენილი ტახტები. ამ ტახტზე ნადირობის დროს ალკინოს საპატიო სტუმრები ისხდენ ხოლმე. ტახტების წინ მაღალი შანდლები იდგენ; ისინი წარმოადგენდენ ოქროსაგან ჩამოსხმულ ბავშვებს, რომლებსაც ხელში სანათები ეჭირათ. დარბაზში თაეიდან ბოლოამდის ორ-რიგათ იყო გამწკრივებული სვეტები, ჭერს შუაში სანათური ჰქონდა დატანებული, იქიდან შემოდიოდა დარბაზში სინათლე და იქვე ადიოდა კერიდან კვამლი. კერა მარჯვენა კუთხეში იყო: იქ ამზადებდენ საჭმელს, ზამთარში ის ათბობდა დარბაზს.

სამამაკაცო დარბაზიდან სხვა ტალანით ქალების დარბაზში (საჯალაბოში) გადიოდენ: იქ იმყოფებოდენ: დიასახლისი, ქალიშვილები და მოსამსახურე ვოგოები, აქვე ხელსაქმეს აკეთებდენ. ეზოს გარშემო იყო დიდი ბაღი მაღალი კედლით შემოვლებული. ბაღში იდგა ვაშლი, მსხალი, ბროწეული, ზეთისხილი. მზის გულზე გაშენებული იყო ვენახი, ბაღის ბოლოში იყო ბოსტანი. მთელ ბაღს გარს პატარა წყალი უვლიდა. თვით სასახლის წინაც წყარო ამოჩუხჩუხებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდისეის ნაპოვნ თავშესაფარში ტკბილათ ეძინა, ამ დროს წყლის შესართავთან ეტლით მივიდა ალკინოს ქალიშვილი ნავსიკაია. ბატონიშვილი და მოსამსახურეები საცვლების რეცხვას შეუდგენ, რეცხვა რომ გათავეს თეთრეული ზღვის პირას მზეზე დაჭფინეს გასაშრობათ. სარეცხს რომ მორჩენ, იბანავეს, ტანი ზეთით დაიზილეს და შემდეგ იქვე ბალახზე დასხდენ პურის საჭმელათ. სადილს შემდეგ ნავსიკაიამ და მისმა მოახლეებმა ბურთის თამაში დაიწყეს. თამაშობას რომ მორჩენ ნავსიკაიამ ერთ მოახლეს ბურთი ესროლა. მაგრამ ღმერთა ათინამ ააცდინა ბურთი მოახლეს, და ბურთი წყალში გადაგორდა. ამის დანახვაზე ქალებმა კივილი მორთეს და ოდისეი გამოაღვიძეს. ნამძინარევი ოდისეი, სანამ მიხვდებოდა რაში იყო საქმე, შეშინდა. მაგრამ მალე გონს მოვიდა და მიმართა ნავსიკაიას შემდეგი სიტყვებით: „გთხოვთ შემიბრალეთ. აქ ყველაფერი ჩემთვის უცხოა. მიმასწავლეთ ქალაქის გზა, მაგრამ ჯერ მიბოძეთ რამე ტანისამოსი“. ნავსიკაიამ მოახლეებს დაუძახა, რომლებიც შიშისაგან მიმალულიყვენ, და უთხრა: „რისა გეშინიათ. ეს საწყალი მგზავრია. ჩვენი ვალია ეუშველოთ. მგზავრი და მთხოვარი ზეესისგან არის გამოგზავნილი. ჩვენ რომ გაჭირვებულს ეუშველოთ, იმას ვამბობ. წადით და მოუტანეთ ტანისამოსი და სასმელ საჭმელი“. მოახლეებმა იქ წამსვე შეასრულეს ბატონიშვილის ბძანება. ოდისეიმ ტანი დაიბანა, ჩაიცვა ტანისამოსი და დანაყრდა. სახლში დაბრუნების დროც მოაწია. ნავსიკაიამ შეაბა ეტლში ჯორები, დაუდო თეთრეული და ქალაქისკენ გაემართა, თან ოდისეიც მიიწვია. თითონ ნავსიკაია დაწინაურდა. ეზოში ძმები მოეგებენ, გამოუშვეს ჯორები და კალათი თეთრეულით სასახლეში შეიტანეს. ქალაქში რომ შეევიდა, ოდისეიმ ერთ ქალს თხოვა ეჩვენებინა ალკინოს სასახლის გზა. ქალმა ასწავლა და ოდისეი მალე მივიდა მეფის სახლთან. გაიარა ეზო, მაგრამ „სანადიმო დარბაზში“ შესვლა ეეღარ გაბედა და კარის წინ გაჩერდა. იქიდან დაინახა მონადიმე ალკინო მისი სტუმრებით; ბოლოს შებედა ოდისეიმ, შეევიდა დარბაზში და პირდაპირ კერასკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასწია. კერასთან მეფის მეუღლე არეტა იჯდა და მოსამსახურებთან ერთათ მატყლს ართავდა. ოდისეი მიუახლოვდა, მოეხვია მუხლებზე და უთხრა: „გთხოვ, მეფავ, შენ მეფეო, და თქვენ მონადიმენო! შემეწიეთ და ხელი გამიმართეთ სამშობლოში დასაბრუნებლათ, რომელსაც დიდი ხანია მოწყვეტილი ვარ!“ თქვა და კერასთან ნაცარზე დაჯდა. ესე უნდა დაემცირებინა თავი ყველას, ვინც კი მასპინძლობას, შემწეობას, გაკითხვას ითხოვდა. ერთმა პატიოსანმა მოხუცმა ურჩია ალკინოს მიეღო მთხოვნელი ზევსის გულისთვის, რომელიც ძუდამ მგზავრის მფარველი იყო. ალკინო წამოდგა, ააყენა ოდისეი ნაცრიდან და თავის გვერდზე დაისვა. ალკინოს ბძანებით მოახლემ მოუტანა ოდისეის ვერცხლის ტაშტი, ოქროს სურით და ხელი დააბანინა, მეორემ წინ მაგიდა დაუდგა, მესამემ მოუტანა პური, ხორცი, მწვანილი და ღვინო. დიდი ხანი იყო ოდისეის ესე გემრიელათ პური აღარ ეჭამა.

საღილს შემდეგ სტუმრებმა თასები ღვინით გაიმსეს; თავი უქციეს იატაკზე მგზავრთა მფარველის ზევსის საღიდებლათ და დალიეს. სტუმრები წავიდ-წამოვიდენ, ალკინომ მეორე დღეს დილისთვის ყველა მოიწვია რჩევაზე, რომ როგორ გაესტუმრებინათ ახალი სტუმარი სამშობლოში. სტუმრები წავიდენ, დარბაზში დარჩენ სახლის პატრონები და ოდისეი. მოახლეები ჭურჭლის ლაგებას შეუდგენ. მეფემ უბრძანა იმათ ოდისეისთვის სასტუმრო სახლში საწოლი მოემზადებინათ... ოდისეი გამოეთხოვა მასპინძლებს და დასაძინებლათ წავიდა. მოახლეებმა სანათით მიაცილეს ბინამდის. დილით ალკინო და ოდისეი მეიდანზე გავიდენ. იქ ფეაკები საქმეების გადასაწყვეტათ იკრიბებოდენ ხოლმე. ამ დროს ღმერთა ათინა გზირის სახით დადიოდა ქუჩა-ქუჩა და ყველას კრებაზე იწვევდა. მთელი მეიდანი ხალხით გაივსო. თავ-თავის ადგილზე ყველა რომ დაჯდა, ალკინო წამოდგა და დაიწყო:

„ფეაკელნო! უცხოელი სტუმარი გვთხოვს დახმარებას სამშობლოში დასაბრუნებლათ. ჩვეულება გვეუბნება რომ თხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ენა უნდა ავუსრულოთ, ამიტომ გამართეთ ახალი ხომალდი, აარჩიეთ საუკეთესო მენიჩბეები. მერე მოვიდენ ჩემთან რჩეულნი და გემრიელი სადილი მოიმზადონო. შეატყობინეთ ყველას რაც ვთქვი.“ ესა თქვა, მერე მიუბრუნდა ერისთავებს და თავისთან სანადიმოთ მიიწვია. გასამასპინძლებლათ ალკინოომ დააკვლევინა 12 ცხვარი, ორი ხარი და რვაც ღორი. ნადიმზე მოიწვიეს ბრმა მომღერალი დემოდოკი. დაუკრა კითარაზე (სიმიანი საკრავი, ლირას მსგავსი) და თანაც დამღერა. ტროიას ომიანობაზე მღეროდა. ოდისეომ თავი ვეღარ შეიკავა და ტირილი დაიწყო. ალკინოო გაკვირვებით უყურებდა ოდისეის. სტუმრის გასამხიარულებლათ, ალკინოომ ბძანა გაემართათ ჭიდაობა, კრივი, გაჯიბრება სირბილში, დისკოს სროლაში, ყველა მეიდანზე გავიდა. ფალავნებს ხალხი გარს შემოეხვია. თავადებიდან გამოვიდა რამდენიმე კეთილშობილი ჭაბუკი და თამაშობას თავი აართვა. შემდეგ ალკინოს უფროსი შვილი მივიდა ოდისეისთან და თხოვა იმასაც ეჩვენებინა თავისი უნარი რომელიმე თამაშში. ოდისეომ უპასუხა: „მე ახლა თამაშობის გუნებაზე ვერა ვარო“. ერთმა ჭაბუკმა ოდისეის უარზე დაცინვის კილოთი წარმოთქვა: „მე კი მგონია, რომ მაგან არც ერთი თამაში არ იცის. ეგ იმისთანას არ ჰგავს, უთუოთ ვაჭარი ვინმეა, რომელმაც მოგების მეტი არა იცის რა“-ო. ეწყინა ოდისეის, ადგა თავის ადგილიდან, დააელო ხელი ყველაზე დიდ ქვის დისკოს და დანიშნულ მიზანს გააცილა. აქ ყველა გაოცდა, ხოლო დამცინავი ჭაბუკი სირცხვილით ოდისეის ვეღარ დაენახვა. თამაშობის შემდეგ ახალგაზდებმა იცეკვეს, თან მღეროდენ და ლირაზე უკრავდენ. მოარჩენ სტუმრის გასამხიარულებლათ დაწყობილ ლხინს, ალკინოო ადგა და მიუბრუნდა თავადებს შემდეგი სიტყვით:

„მომისმინეთ, თავადნო ფეაკისანო! ჩვენი ჩვეულებაა, რომ სტუმარი დავასაჩუქროთ. მოატანინეთ თქვენ თქვენი საჩუქრები და თქვენი ხელითვე მიართვით სტუმარს.“ თავადებმა მოიწონეს ალკინოს სიტყვა. მალე მოატანინეს სასახლეში საჩუქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რები, ჩააწყვეს ძვირფას სკივრებში, რომლებიც ალკინომ მიუბოძა სტუმარსა. საღამოს ნადიმზე ოდისეი ისევ ალკინოს გვერდით იჯდა. დაუძახეს დემოდოკს, იმან ხელ ახლათ ტროიას ალებაზე დაიწყო მღერა, და სწორეთ იმას მღეროდა, როგორ აიღეს ქალაქი ოდისეის მოგონილი ხერხით, ამის მოგონებაზე ოდისეიმ კვლავ ტირილი დაიწყო, ალკინომ რომ ეს შეამჩნია, წარმოთქვა: „მომისმინეთ თავადნო ფეაკისანო! დაიწყო თუ არა მომღერალმა, ჩვენი სტუმარი დაღონდა. მაშ გაჩუმდეს დემოდოკი, ჩვენთვის ყველასთვის სასიამოვნო იქნება, თუ სტუმარი ამით გამხიარულდება. თქვენ იცით, რომ ყველაფერი უკვე მზათ არის სტუმრის გასასტუმრებლათ. ნათქვამია, შემწეობის მთხოვნელ მგზავრს, მოექეცი ვით ღვიძლ ძმასაო. ახლა, მგონია, დადგა დრო ეკითხოთ სტუმარს მისი ვინაობა.—სახელი; ვინ ან რა გვარისაა იგი". შემდეგ ალკინო მიუბრუნდა ოდისეის: „ჩვენო სტუმარო, გვითხარი შენი სახელი; რომელი ქვეყნის, რომელი ტომისა ხარ? გვიამბე გულ ახდით, როგორ მოხვედი ჩვენ ქვეყანაში, რომელი ზღვები და ქვეყნები გამოიარე. აგვიხსენ, რათ სტირი ეგრე მწუხარეთ, როცა გაიგონებ ტროიაზე სიმღერას... მოგვეც პასუხი ყველა ამ კითხვებზე!" – ოდისეიმაც შეუსრულა თხოვნა სტუმართ მოყვარე ალკინოს, ჯერ თავისი და თავისი სამშობლოს სახელი უთხრა, მერე უამბო ყველა თავ-გადასავალი, ყველა ბედი და უბედობა, რაც კი გამოიტანა, ტროიადან წამოსვლის შემდეგ ფეაკების კუნძულზე მოსვლამდის.

ოდისეი უამბობს თავის მოგზაურობას.

ოდისეის ნაამბობიდან ალკინომ და მისმა სტუმრებმა აი რა შეიტყვეს. პირველათ ტროიადან წამოსული ოდისეი ჯერ აღელვებულმა ზღვამ აფრიკის ნაპირებზე მიაყენა, იქიდან სიცილიის კუნძულს. აქ ოდისეი და მისი თანამგზავრები კინალამ დაიღუპენ, სიცილიის კუნძულზე ცალ თვალა (დევები)—ციკლოპები ცხოვრებდენ. ველური იყო მათი ცხოვრება; პური არა ჰქონდათ, სახლების შენება არ იცოდენ და თავისი საქონლის ჯოგებით გამოქვაბულებში ცხოვრებდენ, მიწის მუშაობისა არაფერი გაეგებოდათ, ვენახების გაშენება არ იცოდენ, მისდევდენ მარტო საქონლის მოშენებას: დიდ ძალი თხა და ცხვარი ჰყავდათ. ციკლოპებმა არ იცოდენ საზოგადოებრივი ცხოვრე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა, არა ჰქონდათ არც ბუდე, არც ერობა. ყოველი ოჯახი ცალკე ცხოვრებდა, სხვაზე არაფისზე ზრუნავდა, სტუმარ-მასპინძლობა არ იცოდა.

კუნძულის თვალიერების დროს ოდისეი რამდენიმე ამხანაგით ციკლოპი პოლიფემის გამოქვაბულში შეიდა, პოლიფემი შეილი იყო ღმერთი პოსეიდონისა. ქვაბს ბერძნები გაოცებით ათვალიერებდენ. ამ დროს პოლიფემიც მოვიდა. პოლიფემი ისეთი დიდი რამ იყო, რომ ბერძნებს ტყიან მთის წვერათ ეჩვენათ. ოდისეიმ თხოვა პოლიფემს რომ მათთვის მგზავრთ-მფარველი ზეესის გულისთვის მასპინძლობა გაეწია. პოლიფემმა დაცინვით უთხრა: ზეესი რას მიქვიაო. სტაცა ამის შემდეგ ოდისეის ორ თანამგზავრს ხელი და შეჭამა. ბერძნებს თავზარი დაეცათ, წასვლა გვიანღა იყო, პოლიფემმა ქვაბს უშველებელი ლოდი მიაფარა. იმათ შიშს სამზღვარი აღარა ჰქონდა, როცა პოლიფემმა გამოუცხადა ყველას დაგჭამთო. რომ სიკვდილს გადარჩენოდა, ოდისეიმ ხერხს მიმართა. პოლიფემი შინ არ იყო, ბერძნებმა დაინახეს ქვაბის კუთხეში მისი კეტი, რომელიც დიდი ხომალდის ანძასა ჰგავდა. ოდისეიმ უბძანა ამხანაგებს კეტიდან მოეჭრათ ნაწილი, და თვითონ წვერი გაუთალა; და იქვე ნაგავში ჩაფლეს (ნაგავი ქვაბში ბლომათ იყო). საღამოზე პოლიფემი დაბრუნდა და კიდევ ორი ოდისეის თანამგზავრი შეჭამა. ოდისეი მივიდა ციკლოპთან და უშველებელი თასით ღვინო შესთავაზა. პოლიფემმა სიამოვნებით დალია ღვინო; მერე ჰკითხა ოდისეის სახელი და საჩუქარსაც დაჰპირდა. ოდისემ ნამდვილი სახელი არ უთხრა. — „არაფინ" მქვიანო. მაშინ პოლიფემმა ბოროტი დაცინვით უთხრა ოდისეის: „გულ კეთილო არაფინ, შენ ყველაზე ბოლოს შეგჭამ; აი ჩემი საჩუქარი". ამას შემდეგ პოლიფემმა დალია კიდევ ორი თასი ღვინო, დაეგდო და დაიძინა. ოდისეიმ და მისმა ამხანაგებმა მაშინვე ამოიღეს ნაგვიდან წვერ გათლილი პალო; წვერი ცეცხლზე მოუწვეს; გაახურეს, ძიტანეს და პოლიფემს ერთათ ერთ თვალში მძლავრათ ჩაურჭეს. ციკლოპი წამოხტა და გამწარებულმა ღრიალი შექნა. იმის ყვირილზე მოგროვდენ სხვა ციკლოპები და ჰკითხავდენ, რა დაგემართა, ვინ არის დამჩაგვრელიო. პოლიფემმა ქვაბიდან უპასუხა: „არაფინ, არაფინ! მაგრამ „არაფინ" მე ვერას მიზამდა, რომ თვითონ ჩემი ბრალი არა ყოფილიყოო". — ციკლოპებს ეგონათ პოლიფემი ჭკუაზე შეშლილაო და თავი დაანებეს, თავის ქვაბებში წავიდ-წამოვიდენ.

კოტე.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა სამზარეულო

ერთხელ ერთმა მეფემ ინახულა ერთი მდიდარი კაცი, რომელმაც დაატარა ის ყველა თავის დიდ და მდიდრულათ მორთულ ოთახებში და აგრეთვე უჩვენა მას თავისი სამზარეულო, რომელიც საოცრათ პატარა იყო. გაკვირვებულმა მეფემ ჰკითხა: „რატომ არის ეს, რომ ასეთ დიდ სახლში ასეთი პატარა სამზარეულო გაქვსო?“

მაშინ მდიდარმა მიუგო: „პატარა სამზარეულომ გამიკეთა ჩემი დიდი სახლიო“.

ბესარიონ ვაშაძე.

ორი მეცხვარე.

იგავი.

ზურმუხტის ფრაი ამწვანებულ იალაღზე ერთმა მეცხვარემ გამორეკა ათასი სული ცხვარი. ერთ ხელში მხარზე გადებული დიდი კომბალი ეჭირა, მეორე ხელით დიინჯი ჰქონდა გაკეთებული; უკან საქის ოდენა ქოფაკები მოსდევდენ. წინ შემოეყარა სხვა მეცხვარე, რომლის ფარაც ორასს ძლივს აღემატებოდა. გადაავლო ამ ცხვარს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალი, ძლიერ ეცოტავა და ქილიკაობით გამოეხმაურა შეხვედრილ მწყემსს:

— მმობილო, მე ვიცი, ვერ აუხვალ მაგოდენა ცხვრის მოვლას, დიდ ჯაფაში იქნები; აბა მწყემსობასაც შენ დაიკვეხებო!

— თუ ღმერთი გწამს, მიუკო მეორემ, ერთი მითხარ, ვის ეკუთვნის ეგ დიდი ფარა?

— ფარა ზემო-ბატონს ეკუთვნის და მე იმის ძოჯამაგირე ვარო.

— გიშველა ღმერთმა, ნიშნის მოგებით უპასუხა მეორემ: შენ რომ სხვის ავლა-დიდებას მაკვეხებ, მე ჩემით როგორ არ ვიამაყო; ფარა ბატარა მეავს, მაგრამ რაც არის, საკუთრათ ჩემიაო.

ბირველმა მწყემსმა შერცხვენით თავი დაღუნა და გაუდგა გზას.

ალ. მ—შვილი.



ვირის ეროეინი.

ერთმა გლეხმა ვირით ჩაიარა სასწავლებლის გვერდით. ღია ფანჯარასთან რამდენიმე ბავში იდგა; ამ დროს ვირმა მორთო ეროეინი. ბავშებმა გადიხარხარეს და დაცინვით ჰკითხეს ვირის ბატრონს: „ეს სიმღერა შენ ასწავლე შენ ვირსო?“

„არა“, უპასუხა გლეხმა, ჩემი ვირი არ მღერის, იმან მხოლოთ სიხარულით დაიეროეინა, როდესაც დაგინახათ ასეთი ბევრი ამხანაგებიო“.

ბესარიონ ეაშაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ა ნ დ ა ზ ა.

(წარმოდგენილი ვანო ლალიაშვილისაგან).

პური და ღვინო ძველი სჯობს.
ტანისამოსი ახალი,
არ ვარგა კაცი უნიჭო,
ამაყი, გულით მაღალი.

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

(ჩაწერილი მაკინე ამირეჯიბისაგან; გაგონილი კნ. ლიზა ფალავანდოვისაგან).

ერთი რამ უცხო ნადირი მინდორს დადის მწყერივითა,
შეშა დააქვს, ცეცხლსა უფრთხის, მორცხვი არის ქალივითა.
მე მინახავს თავადები მას დასდევენ ყმანივითა.

მოდგა და მოდგა ლაშქარი, მოდგა და მოიყარაო;
უოსრათ სისხლმა იდინა, ულხუბრათ გაიყარაო.

ერთი რამე სულიერი დაიარება ჩოჩითა,
ფეხებში ბორკილს შეიყრის, შვილებს დაარჩენს ფხოჭითა,
თუ თქვენ ამას გამოიცნობთ, ხვალ გაგიხსნილებთ გოჭითა.

(წარმოდგენილი სათავად-აზნაურო სკოლის მოსწავლე არჩ. გულისაშვილისაგან.)

ერთი რამა სულიერი
გაიძვერა და კუდ გრძელი;
ტანზე ასხია ბალანი,
ზოგს თხელი და ზოგს კი სქელი.
შინაური ფრინველისა
არის ძლიერ დიდი მტერი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის ტუჩიდან ფრთა ბუმბულსა,
ვერ გამოლევს კაცის ხელი.

სახუმარო კითხვები.

(წარმოდგენილი „ჰახულისაგან“).

1) წვერ ულვაშებიანი ვინ იბადება?
2) სინათლის დასასრული სად არის?
3) რას ვერ დაეწევი?
4) ფეხებზე ტყავი ვის აცვია?
5) ის რა ცხოველია, რომელიც როცა მიწაზე დადის ცას ვერ შეხედავს?

უჯრების ამოცანა.

(წარმოდგენილი მისგანვე)

			1			
		2	3	4		
	5	6	7	8	9	
10	11	12	13	14	15	16
	17	18	19	20	21	
		22	23	24		
			25			
			26			

13, 1 გაზაფხულის ყვავილი.
10, 26, 12, 24, 20, 16 პატარა ქალაქი საქართველოში.
9, 23, 3 ქალის სახელი.
17 ერთი ხმოვანი ასო.
8, 25, 11 ნოყიერი სასმელი.
2, 19, 21, 4, 22, 18, 5 ფრინველი.
6, 7, 15, 14 ტანის შუა ნაწილი.

გამოიცანით ყველა ეს სიტყვები და ჩასვით ციფრების კვალობაზე თითო ასოთ ზემოთ დახატულ უჯრებში და გამოვა ორი ჩვენი ნიჭიერი ქართველი მწერლების სახელი და გვარი.

შ ა რ ა დ ა.

(წარმოდგენილი მ. ლელაშვილისაგან).

პირველსა ვნახავთ ეზოში
ორმოა, ციცი წყლიანი.
მეორე ღამის ფრინველი,
ბდღვრიალა თვალებიანი;
ყბათ აღებული ერისგან,
ცხვირ კავა, ცუდი ხმიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესამე—სიტყვის დასკვნაა!
იმერთა, ზრდილობიანი.
მთლათ—ახალგაზრდა, ძლიერი,
მოხერხებული, ჭკვიანი,
მარჯვე, მამაცი, კისკასი,
ომშიაც შვენის ხმლიანი.

რ ე ბ უ ს ი

(წარმოდგენილი კოდ. გაბიჩვაძისაგან)



ძაღლი მტერს
როგორ იგერებს?





ტეტრლის
სინათლე.

მეფტრლის
გალობა.

წელიწადის
ერთი დრო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ III გამოცანებისა.

ა კ რ ო ს ტ ი ხ ი: თავისუფლება.

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი: 1) კევრი და ხარები, 2) ჭინჭარი, 3) რწყილი.

ე პ ი ტ ე ზ ი ს ი: კაცი არ ვარგა სოფელში უმამულო და ეული.

შ ა რ ა დ ა: ბურუსი.

რ ე ბ უ ს ი: ტანი გიგავს ალვის ხესა, სამოთხეში ამოსულსა, კბილი ხშირსა მარგალიტსა, სასურველათ მიწყობილსა; შენ ხომა ხარ უ ხო თემსა ვერა განახავ აქ მოსულსა, თუ შენ გულით არ მიყვარდე ღმერთი ამომართმევს სულსა.

აკროსტიხი, გამოცანები, ეპიტეზისი, შარადა და რებუსი ახსნა: თეილისის სათავად-აზნაურო სკოლის მოსწავლემ არჩილ გულისაშვილმა, მარტო შარადა იმავე სკოლის მოსწავლემ ი. ზედგინიძემ. ახალციხეში ყველა გამოცანები ახსნა: სამოქალაქო სას. მოსწავ. ბაგრატ ბეთანიშვილმა, გორში: მოსწავ. კ. ფრონისპირელმა, ა. ქასარელმა, დათ. პეტრიაშვილმა და ბაგრატ ეანელ-მესხელმა, გორის დედათა პროგ. მოსწ. ქალებმა: მარ. კლიმიაშვილმა, მარ. უთნელიშვილმა, მარ. ჯავახიშვილმა, მარ. ჯულაბოვმა, ნინა კლიმიაშვილმა ⊕ ჯურუყვეთის სასოფლო სკოლის მესამე განყოფილების მოსწავლეებმა.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთელისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი“

წელიწადი მეათე

გამოვა 1899 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, რომელითაც აქამდის.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია თფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავათ.

ჟურნალი „ჯეჯილი“ თფილისში დატარებით ღირს—4 მან. ტფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან. ცალკე ნომრის ფასი თფილისში არის 50 კაპ.

ხელისმოწერა შეიძლება მხოლოთ წლით და ნახევარი წლით.

ხელისმოწერა მიიღება:

1) თფილისში—„წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Груз. Двор. № 101), და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, возлѣ Кадетскаго корпуса.

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*

ეროვნული
ბიბლიოთეკა